წელიწადი მესამე | ფასი 7 კაპ. | ხუთშაბათი, 26 იანვარი, 1917 წ. № 20

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76.

განცხადების ფასი
[illegible] გვერდზე პეტიტის [illegible] 30 კ., უკანასკნელზე—20 კ., [illegible] მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოეულ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირ. [illegible] დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

## „საქართველო"

ყოველკვირეულ სურათებიან დამატებით ღირს:
მთელის წლით—15 მან., ნახევარის წლით—9 მან., სამის თვით—5 მან., ერთის თვით—1 მ. 80 კაპ. ფოსტით ერთი თვით გაზეთის გამოწერა არ იქნება.
წლიურ ხელის მოწერის ფასი შეიძლება ნაწილ-ნაწილად იქნას გარდახდილი შემდეგის წესით: ხელის მოწერის დროს—7 მან.; პირველ მარტისთვის 5 მან. და პირველ იანვრისათვის 3 მან. ვისაც წლიურად სურს გაზეთის გაწერა, ეს უნდა მოიხსენიოს პირველსავე ხელის მოწერის დროს. მისამართის გამოცვლისათვის ქალაქგარეთელმა ხელის მომწერმა უნდა წარმოადგინოს 50 კ. ფოსტის მარკა.
რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ანუ ფოსტის ყუთი № 76 (почт. ящикъ № 76)
კანტორა ღიაა: დილით—9-ან—3 საათამდე, საღამოს—5-ან—7 საათამდე.
რედაქტორი: სანდრო შანშიაშვილი.
გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო".


## დილის წარმოდგენა
### ახალ კლუბის შენობაში
წარმოდგენა
### ი. ზარდალიშვილისა.
კვირას, 29 იანვარს ვ. გამყრელიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება
## კაიუს-გრაკხუს
ტრაგ. 5 მოქ. მონტისა.
კაიუსის როლს შეასრულებს ი. ზარდალიშვილი.
ადგილების ფასი ყველასათვის ხელმისაწვდენია ◆ დასაწყისი დილის 12 ს.
ბილეთები ამ თავითვე იყიდება თეატრის კასაში. რეჟისორი ***
(5—532—2)

## ხარფუხის საზოგადო კლუბი
(მიხეილის პროსპექტი, № 163, საზამთრო შენობა)
ხუთშაბათს, 25 იანვარს,
## საზანდარი
სტუმრები საზოგადო წესით. ◆ დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.
(1—536—1)

მოიკითხეთ ყველგან




ბ. ლეონიძის
რედაქტორობით

„საფირონი"ისყიდება:
„საქართველოს" რედაქციის კონტორაში, ახალ კლუბის შესავალში—სვიმონას კიოსკში, „ცოდნა"-ს მაღაზიაში, ქ. შ. წ.-კ. საზ. მაღაზიაში და ზოგიერთ მეგაზეთეებთან, პროვინციაში დაგზავნილია ცნობილ აგენტებთან.
ფასი 40 კაპ.

ექიმი
### მ. ი. ვაჩნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4 (თ—202—)

ექიმი
### ივანე თიკანაძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18.
ტელეფონი № 11—82.

გოლოვინის პრ. და ხამხევრის ქუჩის კუთხეზე, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
### ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმება
### მ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ
საღამოს 5-6 ს. მდე, კვირა დღეს გარდა
მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი
### მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი
### ფონ-ირტელი
(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).
მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჰრილობისა, ბუასილისა, თეთრაშნასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^1/_2$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.
ერლიხის „914" და „606"
შეშხაპუნება

ექიმი
### პ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
### კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.


## ომის დაპირებანი

მსოფლიო ომი ქალაქების, ციხე-დარბაზებისა და ხალხთა მრავალ წლობით დაგროვილ სიმდიდრის განიავებასთან ერთად ძველს პოლიტიკურ და სოციალურ რწმენის და წყობილების ნგრევასაც ეწევა.

მეომარ სახელმწიფოებში მართვა-გამგეობასა, კლასთა ურთიერთ დამოკიდებულებასა, თუ პოლიტიკურ პარტიების შეჯგუფებაში მნიშვნელოვანი ცვლილება ხდება. ეს ომი კაცობრიობას საშინელ გამკითხველად მოევლინა, მან ზოგიერთი ცხოვრების წესი და წყობილება შეუფერებლად მიიჩნია და არ შეიწყნარა, ბევრი რამ უკვე დაგვირღვია და მომავალში კიდევ მეტის შემუსვრას გვიქადის.

მაგრამ ყველაზე მეტ ცვლილებებს ეროვნული პრობლემა განიცდის. მეომარი და მშვიდობიანი ევროპისთვის ეს პრობლემა აქამდინაც არ იყო უცნობი.

უკვე საუკუნე გადის, რაც ამ პრობლემამ მტკიცე ადგილი მოიპოვა ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთ დამოკიდებულებაში. და ამ ხნის განმავლობაში ყოველი მნიშვნელოვანი, ომის თუ მშვიდობიანობის პოლიტიკური აქტი, ასე თუ ისე, ეროვნულ საკითხსა და ერთა თავისუფლების პრობლემას უკავშირდებოდა. ამ გზით მიენიჭა ეროვნული თავისუფლება ბალკანეთის ერებს—ბერძენთ, ბულგარელთ, რუმინელთ თუ სერბებს და მოხდა იტალიელთა და გერმანელთა ეროვნული გაერთიანება. ხოლო ასეთის სისრულით ეს საკითხი ევროპას არაოდეს არ დაუსვამს. ამ ომმა გარკვეულად წამოაყენა ამ პრობლემის საბოლოოდ გადაჭრის საჭიროება. თვით ომიც თითქოს ეროვნულ თავისუფლების უპატივცემულობის ნიადაგზე აღმოცენდაო და ამის შემდგომ ხომ დასასრული არ აქვს სახელმწიფოთა დაპირებებს: რუსეთის მთავარსარდალი პოლონელთ საუკუნეთა იდეალების განხორციელებას აღუთქვამს. გერმანელნი დამოუკიდებელ პოლონეთის შექმნისთვის ზრუნავენ და ამ ჟამად ამ ახალ სახელმწიფოს ჯარს და ხაზინასაც კი უწყობენ. გერმანელებივე ანიჭებენ ავტონომიურ უფლებებს ფლანდრიას, ხოლო ლიტვას, კურლიანდიას რუსეთის სხვა განაპირა ქვეყნებს თავისუფლების აღდგენას ჰპირდებიან.

შორეული ამერიკაც კი, აქამომდე, რომ ხალისით არ ერეოდა ევროპის საქმეებში, ევროპის დავას გამოეხმაურა და საერთაშორისო მყუდროებისა და მშვიდობიანობის დასამყარებლად, უპირველეს ყოვლისა, ეროვნულ საკითხის გადაჭრის მიუცილებლობა აღიარა.

პრეზიდენტი უილსონი ეროვნებათა თავისუფლებას სამშვიდობო მოლაპარაკებასა და მეომარ სახელმწიფოთა შორის ზავის ჩამოგდების საკითხს საფუძვლად უდებს. ამ ნოტას მეომარი სახელმწიფოებიც გამოეხმაურა. ყველამ აღიარა ამერიკის პრეზიდენტის კეთილი სურვილები. გერმანეთის იმპერატორმა კიდევ უფრო გარკვეულად გაიმეორა, რომ ის სავსებით იზიარებს დამოკიდებულ ერთა თავისუფლების აღდგენის საჭიროებას. რუსეთმა განსაკუთრებული ორგანოც კი მოაწყო პოლონეთის მომავალ მმართველობის წესის შესამუშავებლად.

ამ რიგად, ევროპამ შეიგნო, რომ საერთაშორისო მშვიდობიანობა მხოლოდ მაშინ დამყარდება, როდესაც, როგორც უილსონი ამბობს, მოისპობა ეროვნული ჩაგვრა და ყველა ერი თავისუფალი და შეუზღუდველი გამოვა მშვიდობიან განვითარებისა და პროგრესის ასპარეზზე.

ეროვნული პრობლემა საუკუნის განმავლობაში მუდმივის დავის, და უთანხმოების საგანი იყო. მსოფლიო ომი კისრულობს მშვიდობიანობის ამ საფრთხის ფესვიანად ამოთხრას. პოლიტიკურ მოღვაწეთა ფიცსა და მტკიცებას თუ რამე განმავლობა და მნიშვნელობა აქვს, მეომარი და ნეიტრალი სახელმწიფოს მეთაურები დიდის ერთსულოვნობით გვარწმუნებენ, რომ სანატრელი მშვიდობიანობა კაცობრიობას ეროვნებათა თავისუფლების გვირგვინით მოსილი მოევლინება.

მაგრამ საკითხია: ეს მომავალი მზის შუქები „ვარდთა და ნეხვთა" თანასწორ მოეფინების, თუ მრავალ ერთა უფლებრივს აღდგენას ეს საშინელი ომიც ვერ შესძლებს და მომავალს შეაპირებს. თვით ომის მსვლელობაში იყო ერთგვარი შერჩევა და იქვე არ არის, ეს ომის დასასრულამდის გასტანს. პოლონეთისა, სომხეთისა, თუ ლიტვის შესახებ მეტი თქმულა და მეტი დაპირებები გვსმენია, ეს არა იმიტომ, რომ ამ ერებს ეროვნულ თავისუფლებაზე მეტი უფლებები ჰქონდეთ, ვინემ მრავალ სხვა ეროვნებას. სრულიადაც არა, ამათზე ბევრად უფრო მტკიცე იურიდიული და ისტორიული უფლებებით აღჭურვილი ეროვნებანიც მოიპოებიან. ამათზე ევროპა აქამომდე სდუმდა, იქნებ არც ეხლა იყოს ამათი უფლებათა აღდგენის საკითხი საკმაოდ გარკვეულად აღძრული და წამოყენებული. საერთაშორისო ჩარხის ტრიალს მრავალი პატარა ერი განზე დაურჩა; მაგრამ ევროპის სახელმწიფოთა დამოკიდებულების ცენტრიც იცვლება. გუშინ თუ ის შუაგულ ევროპას და ბალკანეთს ეყრდნობოდა, ხვალ, შესაძლოა, მცირე აზიასა და აღმოსავლეთ ევროპას დაემყაროს.

ე. მალი.

## ქართული პრესა

გაზეთ „სამშობლოს" ფურცლებზე ბ-ნი ა. თორაძე ეხება ჩვენის ქვეყნის წარსულისა და აწმყოს პოლიტიკურ ვითარებას და ამბობს:

„ყოველი სუსტი და უფლებააყრილი ერი სხვისი იმედით ცხოვრობს. თავის აწმყო და მომავალ კეთილდღეობას უცხო ძალის მფარველობაზე ამყარებს.

საკუთარ ძალ-ღონეს მოკლებული, სხვისი მონა-მორჩილი და ბრძანებლობის აღმასრულებელი ხდება.

წინათ, როცა ჩვენი თავი ჩვენვე გვეკუთნოდა და ყველაფერს სხვის დაუკითხავად ვაკეთებდით, ვითარცა სრულ-უფლებიანი, ეროვნული პიროვნება, მრავალ, ერისა და პიროვნების ამამაღლებელ და დამამშვენებელ ღირსებებით ვიყავით დაჯილდოებულნი.

ამ ნეტარხსენებულ დროს ჩვენი ეხლანდელი ბატონები და დაუპატიჟებელი სტუმრებიც ანგარიშს გვიწევდნენ, თავს გვევლებოდნენ და ჩვენს წყენას და ჩვენგან სამდურავის გაგონებას მეტად ერიდებოდენ.

მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების გამო, ჩვენმა დაუძლურებამ და სიბეჩავემ ბოლო მოუღო ჩვენს ზვიად და ქედ-მაღალ ეროვნულ ხელმწიფებას; ულმობელი ბედის ტრიალის გამო სხვის ულელ-ქვეშ მოვხვდით; ამის შემდეგ თანდათან დავკარგეთ საუკუნოებით შეძენილი და შეთვისებული, მაღალი ეროვნული თვისებანი, მეტად დავკნინდით და დავქვეითდით; პოეტის თქმისა არ იყოს;

„რაც ეყოფილვართ, ის აღარ ვართ,
რაც ვართ, ის ნუღარ ვიქნებით".

საკუთარი თავის ღირსებისა და პატივ სცემის შეგნების უნარიც კი წაგვერთვა...

მიუხედავათ ამისა, ქართველობა ადვილათ არ ესალმება საუკუნეებით ნაწრთობ და მკაფიოთ შემუშავებულ ეროვნულ თვითარსებობის იდეიას. მთელ მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ქართველ ერის შეგნებული ნაწილი იბრძვის თავის ეროვნულ სახის შენარჩუნებისათვის. წარსულ საუკუნეში ამ ბრძოლას ჰქონდა წმინდა კულტურული ხასიათი: მაშინდელი ქართველი მოღვაწენი თხოულობდენ უმთავრესათ ქართული სარწმუნოების, ქართული ენის, აწმყო და წარსულ ცხოვრების პატივისცემას და სხვა. ამ ბოლო დროს კი წამოყენებულ იქნენ ეროვნულ-პოლიტიკურ ხასიათის მოთხოვნილებანი, ურომლისოთ ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა დარღვეულ ეროვნული ცხოვრების გამოსწორება".

## ტყის მეფე

ეს სახელი დავით აღმაშენებელს შირვანშაჰებისგან დაერქვა. მართლაც, იმ დროს, როდესაც დავითს მოუხდა ტახტზე ასვლა და მეფური კვერთხით გამგებლობა, მის ყოფას „ტყის მეფეობის" მეტი არა ერქმოდა რა. რა იყო საქართველო? რას წარმოადგენდა თვითონ ერი? დარბეული, გასაწყლებული, აოხრებული უამრავ მტერთაგან, შინ და გარედ მტრის მახვილით შეძრწუნებული, ლიპარიტ ორბელიანთა მიერ ათასჯერ გაყიდული და შიშით ტყე-ღრეში გახიზნული, საბოლოოდ ბუნების სტიქიისგან—მიწისძვრით განადგურებული,—აი ის საშინელი სურათი, რომელსაც წარმოგვიდგენს საქართველო დავითის მამის ხელში. მეფე გიორგი II ამ დროს სახელით იყო მხოლოდ მეფე. ყოვლად სუსტი და უბადრუკი, თავზე ხელ აღებულ თავად-დიდებულთა მიერ აბუჩად აგდებული, უინიციატივო, ნებისყოფაჩაკლული, იგი საბოლოოდ მზად იყო საკუთარ ფეხით ჰხლებოდა სულთანთ ან შაჰებს და მათთვის ეთხოვნა შემწეობა, ქვეყნის მმართველ-გამგეობაში ჩამორევა. ეს იყო უკანასკნელი ნაბიჯი, უკანასკნელი აკორდი ეროვნულ ბედოვლათობისა და უუფლებობის. თუ არა დავითი, ვინ იცის, იქნებ, გიორგის განზრახვა კიდეც სისრულეში მოეყვანა და „ოქროს საუკუნეც" ისტორიის შავ ფურცლებად გარდაქმნილიყო.

მამის უმზგავსი გარდაწყვეტილება შეჩერებულ იქნა თექვსმეტი წლის დავითისაგან. აღზრდილი ანტონ ჭყონდიდელის მიერ და საბოლოოდ სიბრძნის ქურაში გამობრძმედილი არსენ იყალთოელის მიერ, იგი არ მოერიდა მამის მამობას, უკუაგდო მამაშვილობის მოვალეობა, ტახტიდან გადმოჰყავს მამა—გიორგი და მეუფების კვერთხს აიღებს ხელს.

პირველი საზრუნავი, პირველი მისი ფიქრი და გონება მიპყრობილ იქმნა თვით სახელმწიფოს შინაგან ორგანიზმის განწმენდაზე. ბრძენ აღმზრდელთა დახმარებით სწრაფად ალაგმულ იქმნენ ურჩი დიდებულნი და შემდეგ დიდის სარდლო ხელოვნებით შეუდგა მტერთაგან სამშობლოს განწმენდას. იშვიათის გენიოსობით განსჭვრიტა საქართველოს ბედ-იღბალის და ხნის სალსარი, პირველად იგი საჭიროდ სთვლის მუდმივ ჯარის შემოღებას, რის მეოხებითაც მალე, სულ მალე აოხრებული ქვეყანა განთავისუფლებულ იქმნა აუარებელ მტრისაგან, საზღვრები გაფართოვებული, გახიზნული ხალხის ჩამოყვანა და სამოქალაქო ცხოვრების აღყვავება. მის ხელში საქართველო ჩაიყრის სიმტკიცისა და სიცოცხლის საძირკველს, გუშინდელი მოოხრებული და არავისგან არ ცნობილი ერობის ღირსად უეცრივ მსოფლიო ერთა შორის მიიღებს უპირატესობას და მხოლოდ ქართველთ ენიჭებათ უფლება იერუსალიმში გაშლილ ეროვნულ დროშით შესვლა და ლოცვა.

მაგრამ დავითის ღვაწლს მარტოოდენ გაუდაბნოებულ ქვეყნის აღდგენა როდი შეადგენს, არამედ ისიც, რომ სწორედ მან საძირკველი ჩაუყარა სწავლა-განათლებას, რასაც შემდეგში აუცილებლივ უნდა მოჰყოლოდა ხელოვნების აღორძინება. სამი აკადემია, გრემისა, იყალთოსი და თბილისისა საკმარისად არ ითვლება ქართველი ერისთვის, საჭიროა, რომ ნიჭიერი ახალგაზრდობა გაგზავნილი ყოფილიყო ბიზანტიაში, რომ იქიდან ნიჭ-გაფურჩქნილნი დაგვბრუნებოდნენ ელლინურ სიბრძნის სანერგვილად, და მართლაც, საქართველო პირველად მაშინ ჰხედავს შესანიშნავს მჭერმეტყველი გიორგი ჭყონდიდელის სახით, საეკლესიო ჰიმნთა გვერდით პირველად მაშინ შეწყნარებულ იქმნება წარმართული ფილოსოფია ძენე-გე იოანე პეტრიწის მიერ, პირველად მაშინ ფილოსოფიის სურნელებას მოჰფენს ჩვენი აზროვნობა-ხების მშვენება, დიდი არსენ იყალთოელი!

მაგრამ არ ჰკმაროდა ათინის ლამპარის გაჩირაღდნება სამშობლო ქვეყნის დიად გულში. დავითი თვითონვე ჰქმნის საგალობელთ, დავითი დავითის ქნარს აჟღერებს „გალობა სინანულისას" სახით, მის მეოხებით დატოვებულ იქნება „ძეგლის წესია", ეს მართლაც და უკვდავი ძეგლი ქართველი ერის ქრისტიანობისა, იგი საჭიროდ სთვლის თვით სამღვდელოთა შორისაც მოჰხდეს განწმენდა, რომ მწყემსთ ეცნოთ ცხოვარნი თვისნი. მისი გაშლილი ხელი ააგებს ეკლესიებს, გლახაკთა და ქვრივ-ობოლთა თავშესაფარებს, მის მეოხებით აღყვავდება სინას მთა, სულიმის მონასტერია. დღევანდელი ტრაპეზუნდის წინ, განახლდება შიო და განთიადის სხივებში გამოსცურდება ერთი უმშვენიერესი ხომალდი ღვთაებისა—გელათი!

ვინ, თუ არა ეს „ტყის მეფე" უნდა იდიდოს მეფეთ-მეფედ! ნანგრევებისა და არარაობისგან შექმნილს მეფოს „საქართველოს" უძლეველობისა და დღეგრძელობის ციხე-კოშკები შემოარტყა ძლიერის ხელით. სამშობლოს თვალზე მოწყვეტილი მწუხარი ცრემლების მან აკურთხა და აიაზმად მოასხურა. უდაბნო აღყვავდა, კეთილი სურნელი გამოიღო, ცაცხვნართა და კვიპაროსთა შორის წმიდა ეკლესიებიდან აღვლენილს საგალობლებს ფუტკრებმა ზუზუნით შეამკეს საღვთაებრივო ორკესტრი. ცამ იწყო ლოცვა. წინაწარვე მზემ ოქროს სხივები გადმოჰყარა და ნათელის ტალღებით „თამარის" სახელი აღმოსტყორცნა. იყავნ, რომ მის მადლს მოეღოს წყალობა დღესაც, რათა ძლიერის მარჯვენით ახალი „ტყის მეფე" მოევლინებინოს, ჩვენ, წარწყმედილთა განსანათლებლად, აღსადგენად და საცნაურის საცნობლად, რომლის შინაარსი ერის სიცოცხლით იხატება.

ქართლელი.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

აღმოსავლეთ ბრძოლის ასპარეზზე გერმანელნი უკანასკნელ დროს განსაკუთრებულ ყურადღებას ყოველთვის ორ მიმართულებას აქცევენ: რიგა-დვინის ბრძოლის ხაზს და ნარიუეკა-კოველისას. რუმინეთის ოპერაციის შემდეგ, მოპირდაპირე დრო გამოშვებით ხან ერთ ხსენებულ ასპარეზზე იწყებს იერიშებს, ხან მეორეზე. მასთანვე, გერმანელნი მოქმედებას მთელ გაჭიმულ ხაზით არ აწარმოებენ. მცირე რაზმებით მოულოდნელად ეკვეთებიან ხოლმე მტერს, ხანდისხან პირველ სანგრებსაც იღებენ და შემდეგ ბრძოლა მეორე მიმართულებაზე გადააქვთ. მოძრაობს მტერი სწორედ იქ, საიდანაც ყოველთვის საფრთხეა მოსალოდნელი. ასეთ მანევრებს ჯერ-ჯერობით, რასაკვირველია, უფრო ფსიხოლოგიურ ეფექტების მოხდენა აქვს მიზნად დასახული. მტერის განზრახვაა რუსეთის სამხედრო შტაბი აიძულოს მუდამ განსაკუთრებულ ყურადღებით დააკავოს სწორედ ამა თუ იმ მიდამოში; რიგა-დვინის ასპარეზზე ახლა ისეთივე მყუდროება გამეფდა, როგორც რუმინეთში. ერთხელად გავრცელებული ხმები, ვითომ გერმანელნი—აუარებელ მაშველ ჯარებს და არტილერიას აგროვებდენ სწორედ რიგის მიმართულებითო, შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ მართალი არ გამოდგა. მოპირდაპირე დრო-და-დრო ტაქტიკურ ხასიათის ბრძოლას გალიციის უმთავრეს ბროდი გალიჩის ხაზზედაც ისევე აწარმოებს, როგორც რიგა-დვინის ასპარეზზე.

ცნობა იყო, გერმანელებმა შვეიცარიის საზღვრებიდან ჯარები გადაიყვანესო. საით, რომელ ასპარეზზე—ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. მკითხველებმა უკვე იციან, თუ როგორ შევხვდით ერთხმად გავრცელებულ ცნობას, შესახებ იმისა, ვითომ გერმანელები შვეიცარიის ტერიტორიის გადალახვას აპირებდნენ და ამ მიზნით ქ. ბაზელთან ჯარებსაც აგროვებენო. აგრეთვე საეჭვოდ უნდა ჩაითვალოს ზოგიერთ სამხედრო მიმომხილველთა რწმუნება, თითქოს გერმანელნი გაცხარებული ემზადებოდნენ გასალაშქრებლად დასავლეთ ასპარეზზე.

ამერიკის და გერმანეთის შორის მდგომარეობა უცვლელია. გერმანეთი ჯერაც განაგრძობს ბლოკადას და, გუშინდელ დეპეშათა ცნობით, ექვსი გემი ჩაუძირავს.

X.

## ომის დეპეშები

**25 იანვარი.**

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. დაბა კისელინის სამხრეთით 15 ვერსზე, სოფ. ვილია-სადოვსკაიას დასავლეთით გერმანელებმა ზარბაზნების მედგარი დაშენის შემდეგ შემოგვიტიეს, მაგრამ სროლით შეხვდით და უკანვე მივაბრუნეთ თავის სანგრებში. ბროდის სამხრეთ-დასავლეთით მოპირდაპირემ სცადა ჩვენს სანგრებთან მოახლოვება, მაგრამ სროლით შევაჩერეთ.

რუმინეთის ასპარეზზე სროლაა.

კავკასიის ასპარეზზე, ყიალქითის დასავლეთით 10 ვერსზე, თირაქში 22 იანვარს ძლიერი მიწის ძვრა იყო.

### ინგლისი

**24 იანვარი.**

**ლონდონი.** ოფ. ცნობა. მესოპოტამიაში 15 იანვარს, მდ. ტიგროსის მარჯვენა კიდეზე 300 ადლით წინ წავიწიეთ. 18 იანვარს დიდძალი ოთხფეხი საქონელი გამოვირეკეთ. 19 იანვარს მტრის ერთი „ფუკერი" ჩამოვაგდეთ 70 საჟენის სიმაღლიდან. ტიგროსზე 2 ნავტიკი დაუღუპეთ მოპირდაპირეს.

**ლონდონი.** საფრანგეთის ასპარეზის ოფიც. ცნობა. სომას ასპარესზე, რანკურის მახლობლად მტრის შემოტევა მოვიგერიეთ. ანკრის ჩრდილოეთით 500 ადლით წინ წავიწიეთ და ხელთ ვიგდეთ 100 ტყვე, 3 ტყვიის მფრქვეველი. სუშეს სამხრეთ-აღმოსავლეთით მტრის სანგრებში შევიჭერით და 2 კაცი დავატყვევეთ. სომას ჩრდილოეთით, ბომონგამელის მიდამოებში ზარბაზნების ძლიერი სროლა სწარმოებდა.

**ლონდონი.** საღამოს ოფიც. ცნობა საფრანგეთის ასპარეზისა. სომას ასპარესზე ხელთ ვიგდეთ ტყვეები. გედეკურის ჩრდილო-აღმოსავლეთით ხელთ ვიგდეთ 70 ტყვე, მათ შორის 2 აფიცერი. საღამოთი მტრის ორი იერიში მოვიგერიეთ. დღეს დილით გერმანელებმა ლა-ბასსეს წინ ნაღმი აგვიფეთქეს. გუშინ მტრის 3 საფრენი ჩამოვაგდეთ, 6 საფრენი იძულებული ვყავით ძირს დაშვებულიყო. ჩვენ ერთი საფრენი დაგვაკლდა.

### საფრანგეთი.

**24 იანვარი.**

**პარიზი.** დღის ოფიც. ცნობა. ბარლეს მიდამოებში მტერი მოულოდნელად თავს დაესხა ჩვენს სანგრებს, მაგრამ დაზარალებული უკუვაგდეთ და ტყვეებიც წამოვიყვანეთ. მონტამუსონის ჩრდილო-დასავლეთით, შამბრეტის მიდამოში მარჯვეთ დავეცით მტრის სანგრებს. ელზასში ჩვენმა მზვერავებმა დაატყვევეს 1 აფიცერი და ჯარისკაცები, [illegible]

**25 იანვარი.**

**პარიზი.** [illegible]

**პარიზი.** [illegible]

### ოსმალეთი

**25 იანვარი.**

**სტოკჰოლმი.** [illegible]

### იტალია

**რომი.** [illegible]

### შვეცია.

**სტოკჰოლმი.** [illegible]

### წყალქვეშ ბრძოლა

(უტ. დეპ. სააგ.)

**25 იანვარი.**

**ლონდონი.** ოფიც. ცნობა. [illegible] გემისათვის. მოკლულია გემის უფროსი და 3 მეზღვაური, მძიმედ დაჭრილა უფროსი აფიცერი. მოკლულთა შორის არის ამერიკელი მეზღვაური ბალტიმორიდან რიჩარდ ურლესი.

**პარიზი.** [illegible]

**ლონდონი.** [illegible]

**ლონდონი.** [illegible]

**პარიზი.** [illegible]

**ლონდონი.** [illegible]

**სტოკჰოლმი.** [illegible]

**პარიზი.** [illegible]

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### წყალ-ქვეშ ბრძოლა და ამერიკა

**გერმანელის მიზანი**

„ჰამბურგერ ნახრიხ"-ში [illegible] არის ნათქვამი: გერმანეთმა ინგლისის სანაპიროებს იმისთვის მოუწყო გარემოცვა, რომ ინგლისისათვის ნორვეგიაში დაგროვილი სანოვაგე გერმანეთში შეზიდოსო.

[illegible] ყვეტა ომის დასასრულ გვიანლოვებსო.

**შინგარევს** უთქვამს: გერმანეთმა კარგად იცოდა, რომ დაუნდობელ წყალქვეშა ბრძოლის გაჩაღების განახლებით ამერიკის გამოსვლას გამოიწვევდა დ, თუ მაინც წყალქვეშა ბრძოლა გამოაცხადა, ალბად მხოლოდ იმისათვის, რომ ზავის ჩამოგდება ეჩქარებაო.

**როდიჩევმა** განაცხადა: დარწმუნებული ვარ, სკანდინავიის სახელმწიფონი ამერიკის მაგალითს მიჰყვებიან და ცხადია, ჩვენ, ომის უკანასკნელ ხანაში გადავდივართო.

**მილიუკოვის** აზრით, ამერიკის გამოსვლა ომის ხანგრძლივობას შეამოკლებს.

## საფრენი ნავი

ამერიკული ჟურნალი „Suentific American"-ი გადმოგვცემს: შეერთებულ შტატებში დაამზადეს ახალი ჯურის საფრენი, რომელიც ორი სართულისაგან შესდგება. საფრენის სიგანე 8 საჟენია, სიგრძე 6 საჟენი. ქვედა სართული დიდი ნავის მოყვანილობისაა, რომლის წინა ნაწილში მფრინავი და მგზავრები მოთავსდება, ბოლო ნაწილში კი მექანიკოსი. ნავში მოთავსდება 11 სული. ამ საფრენს ორი მოტორი აქვს, თითო 100 ცხენის ღონისა. მოძრაობაში მოდის ელექტრონის მანქანით. ზედვეა გამართული პროჟექტორი და ნიშნის მიმცემი მოწყობილება. იგი სამხედრო საქმეებშიაც გამოდგება.

ამ საფრენ ნავს ზღვაზედაც შეუძლიან ცურვა. მისი ნავი 18 დიუმზე ჩაჯდება წყალში და 30 წამში შეუძლიან კვლავ აფრინდეს. ზღვაზე შეუძლიან 450 ვერსს გავლა, ხოლო ფრენით 750 ვერსი; საათში 90 ვერსს გადის. საფრენ ნავი ისეა მოწყობილი, რომ ზღვაზე ყოველგვარ ამინდის დროს შეუძლიან ცურვა როგორც დახურულ ავტომობილს.

## უკანასკნელი ცნობები

[illegible] შეუძლიან და სხვას არავისაო.

—

**რიგის** ფრონტზე გერმანელები თან და თან მოქმედებას აძლიერებენ. გერმანელებმა მოიგერიეს რუსების იერიში კოლცემსკიდან აღმოსავლეთით და იერიშზედაც გადავიდნენ, მაგრამ იერიში გამარჯვებით ვერ დააგვირგვინეს. აქ გერმანელები ამოქმედებენ ჰაეროპლანებს, რათა დაზვერონ რუსეთის ჯარის განწყობილება.

—

**პოლონეთის** სამეფო საბჭომ გამოყო სამინისტრო, რომელშიაც შედიან სამხედრო მინისტრი პილსუდსკი და შინაგან საქმეთა მინისტრი ლემპიცკი.

═

**ჰოლანდიასა**, დანიასა და ესპანეთში ბლოკადის გამოცხადების გამო ქაღალდის ფული საშინლად დაეცა. გემებს აღარ იზღვევენ.

—

**კამჩატკაში** მიწის ძვრა ოთხ საათს გრძელდებოდა. მიწის ძვრას მეტად დიდი ზარალი მიუყენებია. კამჩატკის ნაპირები საგრძნობლად შეუცვლია.

—

**ციმბირში** ბრბოები გაჩენილა და პოლიტიკურ გადასახლებულთ ხოცავენო.

—

**რიგიდან** პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს ატყობინებენ: გერმანელებს დაუმზადებიათ ხმელეთის ბუმბერაზი ჯავშნოსნები ინგლისურ „ტანკ"-ის მსგავსი. ამ ჯავშნოსნებს რუსეთის ასპარეზზე გაჰგზავნიანო.

## ვისი ბრალია?

(ისტორიული ნარკვევი)

(დასასრული)

პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესები აიძულებდნენ რუსეთს გზა გაეკვლია აღმოსავლეთისკენ და რამდენადაც იზრდებოდა და ძლიერდებოდა ეს ახალი სახელმწიფო, იმდენი საშიში ჰხდებოდა აღმოსავლეთისთვის. თანდათანობითი ზრდა რუსეთის ძლიერებისა, სწრაფი დაპყრობა ყაზანისა და აშტრახანის სამეფოებისა, მთელის აზიის თითქმის სამი მეოთხედის შემოერთება ციმბირის მხრით, ყველა ეს თავდებნი იყვნენ მისი, რომ რუსეთი, თუმცა ნელი მოსკოვურის ნაბიჯით, მაგრამ ამავე დროს მკვიდრ ნაბიჯით უახლოვდებოდა აღმოსავლეთს. და რამდენად გამჭრიახობა და დიპლომატიური ტაქტი ემატებოდა რუსითის პოლიტიკოსებს, რამდენად ჭკუა და ცოდნა ფეხს იკიდებდა მათში, იმდენად ინერცია რუსეთის სახელმწიფოსი აღმოსავლეთისკენ მოძრაობის თვალსაჩინო ჰხდებოდა. ეს მოვლენა კარგათ ჰქონდათ გათვალისწინებული ქართველ მეფეებს. მათ კარგათ იცოდნენ, რომ ბოლოს და ბოლოს საქართველო რუსეთის საგარეო პოლიტიკის მსხვერპლი შეიქმნებოდა და, მიუხედავად იმისა, საქართველო მოისურვებდა თუ არა რუსეთის მფარველობას, მაინც ეს უკანასკნელი მის მიწა-წყალზედ გაბატონდებოდა. ქართველ მეფეებს კარგათ ესმოდათ, რომ რუსეთი ადრე თუ გვიან კავკასიონის აქეთ დამკვიდრდებოდა, ამიტომ მათმა პოლიტიკურმა შორსმჭვრეტელობამ არჩია: ვიდრე რუსეთი თვით გადმოიჭრებოდა კავკასიონის ქედზედ და საქართველოც მისი გარეშე პოლიტიკის მსხვერპლი შეიქმნებოდა, თვით ქართველებს მიეთავაზნათ თვისი სამეფო რუსეთის იმპერიისათვის განსაკუთრებულ პირობებით.

ჩვენ აქ არ შევჩერდებით ქართველი მეფეების პოლიტიკაზედ, ამაზედ შემდეგ წერილში გვექნება საუბარი, არც რუს-ქართველთა დამოკიდებულობის ისტორიაზედ შევჩერდებით, რადგან ამის შესახებაც ცალკე გვექნება ლაპარაკი, აქ კი აღვნიშნავთ, რომ გადაწყვეტილება ქართველ მეფეებისა რუსეთთან შეერთებაზე არ იყო შემცდარი. აქ, შეიძლება, ერთი კითხვა დაიბადოს, იყო თუ არა საჭირო საქართველოს თავისი პოლიტიკური თვითარსებობა მოესპო და სხვას შეხიზნებოდა? ამ კითხვაზედ ძლიერ ძნელია პასუხის მიცემა საგაზეთო წერილში, რადგან საჭიროა იმდროინდელ საქართველოს ეკონომიურ პოლიტიკური და კულტურულ-სოციალურ ცხოვრების გარკვევა, რაც შეიძლება მეტი ფართე ისტორიული ანალიზი და აუარებელ, ჯერ გამოუქვეყნებელ, მასალების შესწავლაა საჭირო. თუმცა იმდროინდელ საქართველოს საგარეო პოლიტიკურ ცხოვრების სურათიც ნათლად გვიჩვენებს, რომ საქართველოს ისე დარჩენა აღარ შეეძლო, მას რაიმე საშუალება უნდა გამოეძებნა, რომ პოლიტიკური თვითარსებობა შეენახა. მართლაც ერთის მხრივ ვხედავთ:—საქართველოს, დანაწილებულს სამთავროებად და სამეფოებად, რომელნიც ხშირად მტრობდნენ ერთმანეთს და თვისივე მცხოვრებლებს აწიოკებდნენ, მოკლებულს საჭირო სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას და ფინანსიურად ერთობ ღარიბს; მეორე მხრივ გამძვინვარებულ სპარსეთის შახებს და ოსმალეთის სულთანებს, რომელთაც უმთავრეს პოლიტიკურ მიზნად საქართველოს მოსპობა ჰქონდათ დასახული. ამ მიზნის განხორციელებას ეს უკანასკნელნი მთელ წყება საუკუნეთა განმავლობაში სცდილობდნენ. ამ მიზნის მისაღწევადვე აიხსნება ის მოვლენა, რომ საქართველოს ისტორია სავსეა იმ გაუთავებელ ომებით, რომელთაც ჩვენ „ქართველ-მუსულმანთა ომებს" ვუწოდებთ. ამ ომების მიზეზების გამოკვლევას სხვა დროს დავუბრუნდებით;—აქ კი აღვნიშნავთ, რომ საქართველოს აღარ შეეძლო თვისის ძალღონით თვისივე თვითარსებობა დაეცვა, მის ძლევამოსილებას ფრთა ეკვეცებოდა და ქვასავით მაგარი გულმკერდი მტერთა ურიცხვ ისრებით განიგმირებოდა. ამ ტრაღიკულ შედეგს გრძნობდნენ ქართველი გვირგვინოსნები, გრძნობდნენ მასაც, რომ საქართველო დიდხანს ველარ გაუძლებდა უთანასწორო ბრძოლას მუსულმან სამეფოებთან, გრძნობდნენ აგრეთვე, რომ საქართველოსთვის საჭირო იყო თუ მფარველი არა, მოკავშირე მაინც, რომელიც თავდები იქნებოდა მის პოლიტიკურ დამოუკიდებლობის დაცვისა და დაღლილ-დაქანცულს მოსვენებას და სიწყნარეს მიანიჭებდა, რომელთაც საქართველო ჰსაჭიროებდა ნაციონალურ-კულტურულ განვითარებისთვის. ვისთვის უნდა მიემართნათ ქართველ მეფეებს? ბიზანტია ამ დროს აღარ არსებობდა. გზა—ქრისტიანულ ევროპაში საქართველოდამ მიმავალი მუსულმანთა სამეფოებით დახშული იყო.

ამ დროს კი ჩრდილოეთით ვითარდებოდა ახალგაზრდა მოსკოვის სამთავრო, თუმცა მონღოლთაგან დამონებული, მაგრამ ბრწყინვალე მომავლის ნიშნებით. ამიტომ ქართველი მეფეებიც უფრო ხშირ-ხშირად იცქირებოდნენ ჩრდილოეთისკენ და რუსეთის ტახტის წინაშე მფარველობას ეძებდნენ. ასეთი იყო არჩევანი ქართველი მეფეებისა და არჩევანი, ჩვენის აზრით, სწორი და პოლიტიკურად გათვალისწინებული. ამ არჩევანს მათის მხრივ შემდეგი გასამართლებელი საბუთები უნდა ჰქონოდა: 1) საქართველო და რუსეთი სარწმუნოებრივის მხრით განვითარების ერთ დონეზედ იდგნენ. თუმცა რუსებმა, ხომიაკოვის სიტყვით, მიიღეს მხოლოდ გარეგნული ფორმა ქრისტიანობისა, უფრო ადათი ვიდრე, ნამდვილი სული და შინაარსი ქრისტეს მოძღვრებისა, მაგრამ, როგორც დასძენს პ. მილიუკოვი, მაინც რუსებს ესმოდათ ქრისტიანული თავგანწირვა, სიყვარული და თავმდაბლობა, სიყვარული მოყვასისადმი და ზეაპყრობა ზრახვათა თვისთა ზეცისადმი,—რანიც შეადგენენ ნამდვილ არსს ქრისტიანულ მორალისას. რუსული სახელმწიფოებრივი ორგანიზაციაც განიცდიდა ქრისტიანულ ზეგავლენას სწორედ ისე, როგორც საქართველოს სახელმწიფოებრივი წესწყობილება. ისე რომ ეს სულიერი ნათესაობა, თუ შეგვიძლიან ასე ვსთქვათ, ხელს უწყობდა ქართველთა და რუსებს შორის ურთიერთობის განმტკიცებას. და ჩვენც ესავე ნათესაობა გვაძლევს შეძლებას ქართველ მეფეთა გადაწყვეტილება—რუსეთთან შეერთებისა ვიცნოთ შეუმცდარად. 2) რუსეთის სურვილი შორს აღმოსავლეთისკენ იმზირებოდა და თუმცა ნელის, მაგრამ მძლავრის ნაბიჯით მიდიოდა იგი აღმოსავლეთისაკენ. ს ქართველო, როგორც გადამცემი პუნქტი, როგორც სტრატეგიული ბაზა აღმოსავლეთის პოლიტიკაში რუსეთისათვის აუცილებლობას შეადგენდა, და ადრე თუ გვიან მისი იარაღი საქართველოს ტერიტორიაზედ იფეთქებდა. ქართველ მეფეთა პოლიტიკურმა შორსმჭვრეტელობამ არ მიიყვანა აქამდის და საქართველო თავის ნებით შეუერთა რუსეთს განსაკუთრებული პირობებით. ამ შემთხვევაშიაც ქართველ მეფეების გადაწყვეტილებას ჩვენ ვსთვლით შეუმცდარად. 3) საქართველო იყო სამეფო ცნობილი კულტურული წარსულით. მისი კულტურული მოღვაწეობა შორს, საქართველოს საზღვრებს იქითაც კი მიდიოდა. მეცნიერულ ლიტერატურის გაფურჩქვნა ქართულ მონასტრებში—კონსტანტინოპოლში, ათონზედ, სინას მთაზედ, შავ მთაზედ და სხვაგან გვიჩვენებენ, რანაირი კავშირი ჰქონიათ ქართველებს კულტურულ ერებთან. ბიზანტიის დამხობის შემდეგ საქართველო მოსწყდა ევროპას. იგი შეიქმნა შემორკალული მუსულმანთა სამეფოებით და სამუდამოთ ჩამოშორდა ევროპის კულტურულ ცენტრებს. რა საკვირველია, საქართველო ამნაირ მდგომარეობაში დიდხანს ვერ გაჩერდებოდა, მას ესაჭიროებოდა გზა, ევროპაში მიმავალი. მას სჭირდებოდა ევროპის კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება. აქ კი ერთად ერთ შუამავლად საქართველოს რუსეთი ეჩვენა, მხოლოდ რუსეთის საშუალებით შეეძლო საქართველოს ევროპას დაახლოვებოდა. აქაც ქართველი მეფეების გადაწყვეტილება—რუსეთთან შეერთებისა შეუმცდარად მიგვაჩნია.

ფორმა შეერთებისა ქართველ მეფეებისათვის დიდი ხნის გარკვეული იყო. ჯერ ისევ მეთექვსმეტე საუკუნის მიწურულებში ალექსანდრე მეორემ რუსეთის მეფეს თევდორე ივანეს ძეს სთხოვა პროტექტორობა. იდეია პროტექტორობისა წითელ ძაფივით გასდევს საქართველოს რუსეთთან დამოკიდებულობის მთელ ისტორიას, სანამ ამ იდეიამ ფორმალური სახე არ მიიღო 1783 წ. ერეკლე დიდის და ეკატერინე მეორეს შორის დადებულ ტრაქტატში. აღნიშნული ტრაქტატი, რომლის გარკვევაც ცალკე შრომას მოითხოვს, უკანასკნელი კვანძია ქართველ-რუსთა შორის დამოკიდებულებისა. ამ ტრაქტატმა დაათავა საუკუნოებში გაჭიანურებული ქართველ-რუსთა ურთიერთობა და მანვე გამოხატა სურვილი და ფორმა ქართველი მეფეებისა, რანაირადაც მათ სურდათ შეერთებოდენ რუსეთს. **ერთის მხრივ სუვერენობა და მეორეს მხრივ ვასსალური დამოკიდებულობა,**—ვკითხულობთ ტრაქტატის პირველ მუხლშივე. ასეთი იყო გადაწყვეტილება ერეკლე დიდისა და თანხმობა ეკატერინე მეორისა. მაგრამ ისტორიულმა მსვლელობამ სულ სხვანაირი შედეგი მოგვცა, არა ერთობამ, არამედ სრულმა შეერთებამ; არა პროტექტორობამ, არამედ ინკორპორაციამ დაასრულა გაჭიანურებული ქართველ რუსთა შორის ურთიერთობა. ამნაირი შედეგი კი არა ჰსურვებია არც ერთ ქართველ მეფეს—პირიქით, მათს მიწერ-მოწერაში რუსეთის სასახლესთან ნათლად არის გამოთქმული სურვილი საქართველოს პოლიტიკურ დამოუკიდებლობის შენახვის და სამეფო დინასტიის ხელუხლებლობის. მაგრამ თუ მათი სურვილი არ ასრულდა, ამაში მათ ბრალს ვერავინ დასდებს. საქართველოს სრული შეერთება გადაწყვეტილ იქმნა არა მის მეფეების სასახლეში და მის მიწა-წყალზედ, არამედ რუსეთის სასახლეში და მისთვის სულ უცხო პირების მიერ. მაშ ვისი ბრალია საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოსპობა?—ამას დავინახავთ, როდესაც პავლე პირველი და ალექსანდრე პირველის საგარეო პოლიტიკას განვიხილავთ. აგრეთვე შეიცვლება თუ არა საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური სახე, ამასაც ევროპის პირველ ხარისხოვან სახელმწიფოების მეცხრამეტე და მეოცე საუკუნოების საგარეო პოლიტიკის განხილვა დაგვანახვებს.

თ. ბეგიაშვილი

## ახალი ამბავი

◆ **აკაკის პანაშვიდი.** დღეს შესრულდა აკაკის გარდაცვალების დღიდან ორი წელიწადი. ამის გამო საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება კვირას, იანვრის 29-ს, მამადავითის ეკლესიაში გადაიხდის წირვასა და პანაშვიდს განსვენებულის სულის მოსახსენებლად.

◆ **წერა-კითხვის** გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ დაადგინა 24 იანვარს: 1) მისწეროს ერევნის განყოფილების მდივანს ბ-ნ კვიტაშვილს, რომელიც გამგეობის შემადგენლობიდან ერთად-ერთი დარჩა გამგეობაში, მოახდინოს განყოფილების წევრთა საზოგადო კრება ახალი გამგეობის ასარჩევად; 2) დეპეშით მიესალმოს მოსკოვის ქართულ სამეცნიერო წრეს და უგზავნოს მას თავისი გამოცემანი; 3) დორპატის უნივერსიტეტის სტუდენტს ვ. კოტეტიშვილს 4 თვით განუგრძოს სტიპენდია; 4) მიენდოს გამგეობის წევრს დ. კარიჭაშვილს მოახდინოს რევიზია საზოგადოების თავშესაფარებში სოხუმსა და ბაქოში და შეადგინოს ანგარიში ამ დაწესებულებებზე დახარჯულ ფულისა და აგრეთვე გახსნას ასეთივე თავშესაფარი ბათომში. შემდეგ გამგეობამ ითათბირა სკოლების მეთვალყურის კანდიდატურის შესახებ და გადასწყვიტა მეთვალყურე აირჩიოს საზოგადოების 1917 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შემდეგ. აგრეთვე შემდეგისათვის გადაიდვა მდივნის თანაშემწის არჩევა. გამგეობამ მოისმინა წერილი ოზურგეთის განყოფილების კრების შესახებ, რომელსაც თავის თავმჯდომარედ აურჩევია თავ. ქ. დ. ერისთავი, ხოლო თავმჯდომარის ამხანაგად ქ-ნი ანნა ჭყონიასი.

◆ **საქველმოქმედო საზოგადოების** ბათომის განყოფილებას წლიური საზოგადოება ექნება კვირას, 29 იანვარს. განსახილველია: 1) გამგეობის მოქმედება 1917 წლის 1 იანვრამდე, 2) საფინანსო ანგარიში, 3) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 4) მიმდინარე საკითხები და 5) გამგეობის არჩევნები.

◆ **ქართულ სახოფლო სამეურნეო საზოგადოების** საბჭოს მორიგი სხდომა დანიშნულია დღეს, 26 იანვარს, საღამოს 8 საათზე.

◆ **უხვი შემოწირულება.** ლ. მანთაშევს 600,000 მანეთი შეუწირავს სომეხთა სასოფლო-სამეურნეო საჭიროებისათვის.

◆ **სახალხო თეატრი.** დღეს საღამოს, სახ. სახლ. არს. ქართ. წარმოდ. მმართველ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება შილლერის ტრაგედია „ყაჩაღები“. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასი სახალხოა.

◆ **ქართული თეატრი.** ახალ კლუბის შენობაში კვირას, 29 იანვარს, დილით გაიმართება **ი. ზარდალიშვილის** წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა რომაელთა ცხოვრებიდან „კაიუს გრაკხუს“. გრაკხუსის როლს შეასრულებს თვით ი. ზარდალიშვილი. წარმოდგენა დაიწყება დილის 12 საათზე. ბილეთები ამ თავითვე იყიდება თეატრის კასაში.

◆ **სამკურნალო ადგილების** მომწყობთა კრების საორგანიზაციო ბიუროს კრებას წევრთა სიაში შეტანილი აქვს: თბილისი, ბაქო, ქუთაისი, ბათომი, ფოთი, სოხუმი, განჯა, ერევანი, ყარსი, თემირ-ხან-შურა, კავკავი, ეკატერინოდარი და ზაქათალა. სიაში შეტანილი არ ყოფილა პიატიგორსკი, რომელსაც სამკურნალო და საagარაკო ადგილთა შორის უპირველესი ადგილი უჭირავს. ამის გამო პიატიგორსკის ქალაქის მოურავი წერილობით სთხოვს საორგანიზაციო ბიუროს, რომ სიაში შეტანილ იქმნას პიატიგორსკი და ნება ჰქონდეს ამ უკანასკნელს თავისი წარმომადგენელები გამოგზავნოს კრებაზე 5—11 მარტს.

◆ **სარსუთათო საქმე.** 24 იანვარს თათბირი ჰქონდა ქალაქის საბჭოს სასურსათო აღმასრულებელ კომისიას. განხილულ იქმნა საკითხი ჩრდილო კავკასიაში სურსათის შეძენის შესახებ. ზოგიერთმა წევრმა ის აზრი გამოსთქვა, რომ, რადგან ფქვილი მთავრობის მიერ დაწესებულ მტკიცე ფასებზე უფრო ძვირად ფასობს, უმჯობესი იქნება ხორბალი შევიძინოთ ჩრდილო კავკასიაში და საიჯარო წისქვილში დავფქვათო. მაგრამ ეს წინადადება არ გავიდა. კრება იმ აზრს დაადგა, რომ უმჯობესია ისევ ფქვილის შეძენა განაგრძოს ქალაქის წარმომადგენელმა და რაც შეიძლება, მომეტებულად თეთრი ფქვილი იყიდოსო. ხორბლის შესახებ კომისიამ დადგენილება გამოიტანა, რომ ხორბალი შეძენილ იქმნას საცდელად და საიჯარო წისქვილში დაიფქვასო. შემდეგ კრებამ განიხილა ქართველ მეთორნეთა ერთი ჯგუფისა— „რატიანი და ამხ.“—შუამდგომლობა, შესახებ იმისა, რომ მას მიეცეს ფქვილის შეძენის უფლება თავის წევრთათვის კრებამ შუამდგომლობა შეიწყნარა, მაგრამ იმ პირობით, რომ ნაყიდი ფქვილი იგზავნებოდეს თბილისში ანუ გუბერნატორის და ან ქალაქის გამგეობის სახელზე, ეს ფქვილი უნაწილდებოდესთ წევრებს ქალაქის გამგეობის კონტროლის მეთვალყურეობით და თუ საჭიროება მოითხოვს, ამ ფქვილის ნაწილი სხვებსაც უნდა მიეცესთ გამოსაცხობად. ამის შემდეგ ლაპარაკი ჩამოვარდა კომისიის უფლებაზე საერთოდ ნიხრის დაწესების შესახებ. კრების უმრავლესობამ ის აზრი გამოსთქვა, რომ კომისიას უფლება აქვს შეიმუშაოს პროექტი ახალ ნიხრისა, რომელიც შემდეგ გუბერნატორს წარედგინება დასამტკიცებლად. იქვე შემუშავდა ნიხრის პროექტი ნავთეულობაზე. ამ პროექტით ფუთი ნავთი ეღირება საწყობში 2 მან. 80 კაპ., გირვანქობით 8 კაპ., სურახანის გაუწმენდავი ნავთი ფუთი 2 მან. 35 კაპ., მანქანის ზეთი 4 მან. 80 კაპ., ბენზინი მეორე ხარისხისა 7—20 კაპ., მესამე ხარისხისა 6—20 კაპ., მაზუთი და გაუწმენდავი ნავთი ნიხრის სიაში არ შეუტანიათ.

◆ **არსენალის აღმართზე** გასქდა ქვიტკირის კედელი და ამ გზით მიმოსვლა სახიფათო შეიქმნა. ქალაქის გამგეობის მინდობილობით კედელი დაათვალიერეს ინჟენრებმა მუხარინსკიმ, ლ. ნ. დიასამიძემ და ბ-ნმა მუხაძემ. აღმოჩნდა, რომ საშიში არაფერია. კედელი შეკეთდება.

◆ **ქ. წ. კ. გ. საზოგადოების** ახალი შესწორებული წესდება გუბერნატორმა დაამტკიცა.

◆ **მუხაშარიას მანქანები.** იანვრის 22 დიდის მთავრის ნიკოლოზის ასულის მილიცას სურვილის თანახმად სასახლეში ჩურუქსუს სკოლის სახელოსნო განყოფილების ოსტატმა (ქართულ საქვ. საზოგადოებისაგან გახსნილი) აჩვენა თავისი გამოგონილი საფეიქრო მანქანა და სხვა მასალა და ნამუშევარი. მისმა უდიდებულესობამ ბ-ნ მუხაშარიას შეუკვეთა ერთი ასეთი მანქანის გაკეთება.

◆ **მოსკოვის სახალხო ბანკის განყოფილება.** იანვრის 23 სამეურნეო საზ—ბის დარბაზში მოხდა მომხმარებელი საზოგადოებათა და საკრედიტო ამხ—თა წარმომადგენლების კრება. გადაწყდა დაარსდეს თბილისში საკომისიო კანტორა და ეთხოვოს გამგეობას იშუამდგომლოს აქციონერთა წინაშე, რათა თბილისში დაარსდეს ამ ბანკის განყოფილება.

◆ **ქალაქის ახალი სესხი.** ქალაქის თვითმართველობა ახალ 3 მილიონის სესხის აღებას აპირებს თბილისის მოკლე ვადიან ვალების გასასტუმრებლად.

### ქუთაისი.

ქუთაისის სამრეწველო სასოფლო-სამეურნეო ბანკის დირექტორად ასახელებენ ბ-ნს ი. გძელიძეს, რომელმაც მოსკოვის საკომერციო ინსტიტუტი გაათავა და ახლა ქუთაისის სასურსათო განყოფილების გამგეთაა.

— იანვრის 19 სამხედრო სასამართლომ გაარჩია საქმე იმ პატრულებისა, რომელთაც პრაპორშჩიკ ჭიჭინაძის მოკვლა ბრალდებოდათ. სასამართლომ ოთხს (სომეხია) ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა, ხოლო ორს (ერთი რუსია და ერთიც ქართველი) ოც-ოცის წლის საკატორღო მუშაობა.

— იანვრის 22 შესდგა ქუთაისის ვექილთა კრება, რომელზედაც უნდა აერჩიათ წარმომადგენელი თბ. ვექილთა საბჭოში. აირჩიეს ნაფ. ვექ. დავ. ხელთუფლიშვილი. ერთმა ნაწილმა პროტესტი განაცხადა. შესაძლებელია მეორეც აირჩიონ და თბ. საბჭო ერთ-ერთს დაამტკიცებს.

— ია ეკალაძე, რომელიც პასუხისგებაში იყო მიცემული „კუტაის. ვესტი“-ს რედაქტორის დუელში გაწვევისათვის, მოსამართლემ უდანაშაულოდ იცნო და გაამართლა.

— ქალაქში ხმა დადის, ქალაქის გამგეობის წევრი ბ-ნი ვ. არდიშვილი სამსახურს თავს ანებებსო.

— განზრახულია სამეურნეო პრაქტიკული სკოლები გაიხსნას: აძვიბჟას (აფხაზეთი), ქვალონსა (სენაკის მაზრა), ხობსა (ზუგდიდის მაზ.) და ზუგდიდში.

— საერობო სააგრონომიო ორგანიზაციაში ინსტრუქტორად დაინიშნა ვ. ჯაფარიძე.

— მიხაილოვის ფოტოგრაფიის მოიჯარადრემ ბ-ნმა ნ. საღარაძემ განიზრახა, სხვა ფოტოგრაფებთან შეთანხმებით, ქუთაისში საუკეთესო ცინკოგრაფია მოაწყოს.

— განზრახულია ოსეთის გზატკეცილის უმაღლეს პუნქტებიდან გამოიყვანონ საფოსტო გზა სოფ. ცაგერში.

— იანვრის 22 ჟურნალ-გაზეთების კანტორის „იმერეთის“ გამგეს ისიდ. კვიცარიძეს ქუჩაში დაესხნენ ნაძირალები და მოქმედებით შეურაცყოფა უნდა მიეყენებინათ. მაგრამ დამსწრე ხალხმა ბოროტგამზრახველთ ხელი შეუშალა.

---

**„საქართველოს“ რედაქციის კანტორისაგან.**

პროვინციელ აგენტების საყურადღებოთ!

**ვინც 5 თებერვლამდე რედაქციას სრულს ანგარიშს არ გაუსწორებს, გაზეთის გზავნა მოესპობათ.**

---

**გაზეთ „საქართველო“ზე ხელის მოწერა მიიღება:**

**თბილისში**— ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანტორაში ბ-ნ ვას. ედილაშვილთან.

**ქუთაისში**— 1) ჟურნალ გაზეთების კანტორა „იმერეთში“,
2) საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბანკში ბ-ნ. რ. დათეშიძესთან, ბ-ნ ი. პურადაშვილთან,
3) მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში ბ-ნ პ. გელაშვილთან.

**ბათომში** — ჟურნალ-გაზეთების კანტორა „განთიადში“, ბ-ნ მგალობლიშვილთან და ექ. მარუაშვილთან.

**ხონში** — მ. ჭავჭანიძის წიგნის მაღაზიაში.

**სამტრედიაში** პორფილე ჭეიშვილთან.

**ჭიათურაში**—გალაქტიონ ქავთარაძესთან.

**ბაქოში** — ძმათა ბოსტაღანიშვილების ავეჯეულობის მაღაზიაში და ალექს. სიმ. ლორთქიფანიძესთან (კრასნოვოდსკაია ქუჩა № 10. ტელეფონი 47—90).

**გორში** — ძმათა რომანიშვილების მაღაზიაში.

**ზუგდიდში**— ბ-ნ პეტრე ქეიდიასთან (შემნახველ-გამსესხ. ამხანაგობაში).

---

### სიღნაღი

ეს სამი კვირაა, რაც სიღნაღში საზადის გარდა, რომლითაც ბევრი ხალხი გახდა ავათ, საოფლეც გაჩნდა; რაკი პირველიდანვე არ მიაქციეს ჯეროვანი ყურადღება, საოფლე სწრაფათ გახშირდა. მძიმეთ ავათ გახდა ამავე საოფლით სამაზრო ექიმი ნიკოლოზ ჯანდიერი. მთელის მაზრის ოთხი ექიმი თავს ადგას, მაგრამ ავათმყოფს უკეთობა არ ეტყობა. ამ ხანათ 15 ავათმყოფიდან ოთხი კიდევ მოკვდა. ქალაქის თვითმართველობა კი მარტო ეხლა შეუდგა თავდარიგს საოფლესთან საბრძოლველ ღონისძიებათა მისაღებათ.

### მუხრავანი (თბ. მაზ.)

სოფელ მუხრავანში ერთ კლდეში ამოჭრილია სამლოცველო, რომლის კედლებში ძველ ფრესკებითაა შემკული, მხატვრობა ბევრგანაა დაზიანებული, მაგრამ საერთოდ კარგადაა შენახული. საჭიროა აქედანვე მიექციოს ყურადღება, რადგან მუხრავანში მცხოვრები რუსის გლეხები და იქვე დაბანაკებულნი ჯარის კაცნი, ხშირად დასეირნობენ სამლოცველოსკენ და ისედაც დაზიანებულ მხატვრობას უფრო აზიანებენ. საჭიროა, ვინმე წამოვიდოდეს და გადაიღებდეს მაინც ამ ფრესკებს. ს. მუხრავანი თავს დაჰყურებს ს. უჯარმას, თბილისიდან თელავში მიმავალ შარა-გზის სადგურს.

### არდონი (თერგის ოლქი).

ნინოობას ადგილობრივის სამისიონერო სემინარიის მოწაფემ ა. შილაკაძემ სემინარიის ეკლესიაში წაიკითხა ქადაგების სახით: „ქართველთა განმანათლებელი წმ. ნინო, როგორც გამავრცელებელი ქრისტეს სჯულისა. მლოცველებზე (რუსობა და ოსობა) დიდი შთაბეჭდილება იქონია ქადაგებამ. დიდათ ნასიამოვნებიც დარჩნენ ქართველნი მლოცველებიც. ბ-ნი შილაკაძე სემინარიის სალიტერატურო და სალვთისმეტყველო წრეში ხშირად კითხულობს რეფერატებს ქართველ წმიდანების შესახებ.

### ხ. საყულია (ქუთ. მ.)

საყულია ქუთაისიდან 25 ვერსტზეა. ძვირად შეხვდებით სოფლელს, რომ სამყოფი სიმინდი ჰქონდეს. ამას ზედ დაერთო ოთხფეხ საქონლისა და ფრინველის ჭირი. გლეხობა სულ ხელ ცარიელი დარჩა. აქ არსებობს ორ კლასიანი სასწავლებელი, რომელსაც განსვენებულმა ს. სვანიძემ დიდი დახმარება აღმოუჩინა. არსებობს აფთიაქიც. მის გამგეს—ქ-ბნს ელენე ლორთქიფანიძისას, ხალხი ძალიან ემადლიერება. აარსებენ კოოპერატივს და სამკითხველოსაც. საზოგადოებას საკრედიტო ამხანაგობაცა აქვს.

### ბათომი.

ბათომის ოლქის საერობო აგრონომი იოელ (ირნა) მაჭავარიანი ზემოაჭარის რაიონის საერობო აგრონომად ინიშნება.

— ბათომის სამეურნეო საზ—ის სამეურნეო ჟურნალის რედაქცია გადმოაქვთ ქუთაისში. ჟურნალი დაიბეჭდება კილაძის სტამბაში.

### ახალ-სენაკი.

საერობო აგრონომად დაინიშნა უმაღლეს სამეურნეო სასწავლებელში კურს დამთავრებული ბოკერია.

### ფოთი.

თებერვლის თვრამეტს თბილისის სასამართლო პალატის სესია ფოთში გაარჩევს საქმეს იმ პირთა, რომელთაც სახელმწიფო ღალატი ბრალდებათ.

### სოფ. საგარეჯო (გარე კახეთი)

რამდენიმე წელია ფოსტის გახსნას ცდილობენ საგარეჯოელნი, მაგრამ ვერას გახდნენ. მხოლოდ ბოლო დროს მთავრობამ აღუთქვა სურვილის დაკმაყოფილება. წინადადება მისცა საზოგადოებას შენობის დაქირავებისა და დამზადებისა. საზოგადოებამ მთავრობის მოთხოვნილება შეასრულა: შესაფერი შენობა ორი თვეა მზათ არის. მაგრამ ჯერ კიდევ ვერ ვეღირსეთ მის გახსნას.

### გორი.

— გორის მაზრის კოოპერატივების საყურადღებოთ. განმანაწილებელმა ბიურომ მიიღო ვაგონებით სიმინდი და ერთი ვაგონი შაქარი. შაქარი და სიმინდი, გორის მაზრის კოოპერატივებმა უნდა მოიკითხონ ქ. გორში სამეურნეო საზოგადოებაში.

### სოფ. ძეგლთა (გორ. მ.)

ჩვენის გლეხების გაჭირვება დღითიდღე მატულობს. საშინელს ომს კიდევ ბოლო არ უჩანს. გვაქვს ერთი სამრევლო სკოლა, კეთილმოწესე ა. ბეგიზოვის დახმარებითა და რჩევით გახსნილი. წრეულ ამ სკოლაში სამოცამდე მოწაფე დაირება. სწავლის წყურვილიც თანდათან ცხოველდება.

— იანვრის 2 სკოლის მოწაფეთ შობის ხე გაუმართეს. მოწვეულნი იყვნენ მოწაფეთა მშობლებიც. შეგირდებმა ლექსები წაიკითხეს. დასასრულ, ბავშვებს ტკბილეულობა დაურიგეს.

### ქ. გუმბრი (ალექსანდროპოლი).

თებერვლის პირველ რიცხვებში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ადგილობრივი განყოფილება სახალხო სახლში თავის სახსარის გასაძლიერებლად გამართავს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება ი. ჭავჭავაძის „ბატონი და ყმა“.

— დ. მგალობლიშვილის ლოტბარობით აქ შესდგა ქართველ მომღერალთა გუნდი. გუნდი ამზადებს სხვა და სხვა სიმღერებს და ქართულ საღამოებზე მონაწილეობას იღებს. გუნდში შედის 25 კაცამდე.

— ქ. შ. წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გუმბრის განყოფილებამ გასულ წლის ივლისიდან აქ გახსნა ქართული სამკითხველო. სამკითხველოს ოთახი მშვენივრად არის მორთული ჩვენის მწერლების სურათებით. ჯერ-ჯერობით მოსდის: „სახალხო ფურცელი“, „ზვირთი“, „აზრი“, „თეატრი და ცხოვრება“, „ეშმაკის მათრახი“, „ზაკავკ. რეჩი“ და „რუსკოე სლოვო“. სამკითხველოს გაზ. „საქართველო“ არ მოსდის. მკითხველთა რიცხვი საშუალოთ დღეში 15 კაცამდის ადის. როგორც საზოგადოებას, ისე სამკითხველოსაც ხელმძღვანელობას უწევს სამხედრო ექიმი გ. ქორქაშვილი. მისის მაცადინობით გასულ წელს საზოგადოებას ჰყავდა 200 წევრი. ბ. ქორქაშვილი ამ ჟამად საზოგადოებას თავჯდომარეობს.

— მსახიობ დ. კობახიძეს ადგილობრივმა წერა-კითხვის საზოგადოებამ თვიურად დაუნიშნა 100 მანეთი.

— გუმბრის მაზრაში დეზერტირების თარეში გაძლიერებულია. მაზრის უფროსმა ზომები მიიღო, რომ მათი თავხედობა ალაგმოს.

### ქ. ალექსანდროპოლი.

— კავკასიის ჯარის უფროსმა ინფანტერიის გენერალმა გუდოვიჩმა კავკასიის მცხოვრებთა საყურადღებოდ ბრძანება გამოსცა, რომ სასტიკად აკრძალულია ჯარის კაცებისაგან კერძო პირებმა იყიდონ რაიმე სახაზინო ტანისაცმელი. ბრძანების დამრღვევთ დააპატიმრებენ სამის თვით ან 3,000 მანეთს გადაახდევინებენ.

— აქ ამ უკანასკნელ დღეებში გავრცელდა შავი სახადი. სახადმა რამდენიმე კაცი იმსხვერპლა.

— მთელ ქალაქში შეშა არსად იშოვება. ამის გამო ქალაქის აბანოები ყველა დაიხურა. სამხედრო უწყების დაწესებულებებს ოთხფეხთა ნაკელით ათბობენ. საჭმელსაც ამით აზადებენ.

— აქ ქართული ჟურნალ-გაზეთები სულ არ იშოვება, რის გამოც ადგილობრივი ქართველები მეტად შეწუხებულნი არიან. დამტარებლებს არ მოეპოვებათ აგრეთვეე სატახტო გაზეთებიც.

— არ იშოვება ნავთი. შაქარზე ლაპარაკიც კა მეტია.

### მესკოვი

ნინოობას ქართველთა საზოგადოების ათის წლის თავზე გაიმართა სადღესასწაულო საღამო. დღისით გადახდილ იქმნა საზ-ების დარბაზში პარაკლისი, საღამოს კი გაიმართა პოეტ ბალმონტის „საქართველოს საღამო,“ რომელზედაც ბალმონტმა წაიკითხა ლექცია შოთა რუსთაველის, ვეფხისტყაოსნის თარგმანიდგან. საღამო დასრულდა ბანკეტით, რომელსაც დაესწრენ სა-ბის გამგეობა, წევრები და მრავალი მოსწავლე ახალგაზრდობა, აგრეთვე რუსის პოეტები; კ. ბალმონტი, ი. ბალტრუშაიტის, მ. ვოლოშინი და მხატვარი ქალი ე. კრუგლიკოვისა. ნადიმის თამადად აირჩიეს ე. კანდელაკი. საქართველოსა და ქართულ ხელოვნებაზე სიტყვები წარმოსთქვეს; თ. ალ. სუმბათაშვილმა, ივ. თულაშვილმა, ტ. ტაბიძემ, კ. ბალმონტმა, ი. ბალტრუშაიტისმა, მაქს ვოლოშინმა, ე. კრუგლიკოვის ქალმა და სხ. ნადიმმა მეტად მხიარულათ ჩაიარა. ნადიმზევე პოეტი ბალტრუშაიტისი დაგვპირდა რუსულად ვთარგმი ქართველ ახალ პოეტებსაო.

## ვ. გუნიას იუბილე

24 იანვარს სამეურნეო ბანკის დარბაზში დრამატიულ საზოგადოებისა და დრამატიულ კრებაზე არჩეულ პირთა შეერთებული კრება მოხდა დამსახურებულ მსახიობის ვ. გუნიას იუბილეს მოსაწყობად.

კრებამ განიხილა იუბილეს წესრიგი და სურვილი გამოსთქვა იუბილე გაიმართოს დიდმარხვის ბოლო რიცხვებში, დაახლოვებით კვირას, მარტის 19.

გადასწყდა შედგენილ იქნას იუბილიარის ბიოგრაფია ამორჩეულ იქმნა კომისია, რომელმაც უნდა იზრუნოს სათეატრო დარბაზის შოვნისათვის.

იუბილე შედგენილ იქმნება ორის ნაწილისაგან. დილით დაიწყება მილოცვები, ხოლო საღამოთი თვით იუბილარის მონაწილეობით წარმოდგენა.

დასასრულ, კრებამ დაადგინა: იუბილეს მომწყობ კომისიის კრება გაიმართოს 31 იანვარს და ამ კრებაზე მოიწვიონ ქართულ საზოგადოებათა წარმომადგენელნი და სთხოვონ იუბილეს მოწყობაში მონაწილეობა მიიღონ.

## წმ. დავით აღმაშენებელი და ყიფჩაღნი (პოლოვცები)

(საყურადღებო ისტორიული ცნობები)

დავით აღმაშენებლის დროს საქართველოს გავლენა ჰქონდა მარტო მეზობელ ქვეყნებზე კი არა, არამედ შორეულ ყიფჩაღთა მხარეზედაც. ქართულ საისტორიო წყაროებში მოხსენებულია, რომ ყიფჩაღნი დავითს მის ომებში დიდ დახმარებას აღმოუჩენდნენ და საქართველოს სახელის განდიდებას ემსახურებოდნენ. ამას მოწმობენ სომხური და მუსულმანური მატიანეებიც. „ქართლის ცხოვრების“ სიტყვით, დავითმა მოარიგა ერთმანეთში ყიფჩაღნი და ოსნი. ცხადად სჩანს ქართველთა მეფის გავლენა ოსებზე და ყიფჩაღებზე... ყიფჩაღთა მეფის ასული გურანდუხტი დავითს ცოლად ჰყავდა. „ქართლის ცხოვრება“ აღნიშნავს, რომ დავითმა ძლიერ კარგად იცოდა მრავალრიცხოვნობა ყიფჩაღებისა, მათი სიმხნე, ცხენოსნობა, სიმამაცე, და მოიყვანა საქართველოს დედოფლად და თანამეცხედრედ ყიფჩაღთა მეფის ათრაგის ასული გურანდუხტი. . მოიწვია საქართველოში დასასახლებლად ყიფჩაღნი და მათი მეფე, თვისი სიმამრი... დავითის სიმამრმა მიწვევა მიიღო დიდი სიხარულით... თვისი ერით, თვისი ჯარით, ათრაგი, ყიფჩაღთა ერთი ტომის მეფე, გადმოსახლდა საქართველოში. მათ უშიშრად გადმოვლეს დარიალის ხეობა, სადაც ოსები ბატონობდნენ... ყიფჩაღთა დახმარებით დავითმა სძლია თვისი ქვეყნის მტერთა,—და შიშის ზარი დასცა მებრძოლთა თვისთა. ყიფჩაღნი მათის ცოლშვილითურთ დაასახლა შესაფერ ადგილს,—ვინაიდგან ცალიერი ადგილი საქართველოში მრავალი იყო. მათს შორის 40 ათასს სულს შეეძლო იარაღის ხმარება. ყიფჩაღთა შორის მრავალმა მიიღო ქრისტიანობა, და ბოლოს ყველანი გაქრისტიანდნენ. ამ სახით დაემორჩილენ ქართულ კულტურის ძლიერ ზედ გავლენას...

ქართულ საისტორიო წყაროების ცნობები ყიფჩაღთა შესახებ გამოხატვენ სრულს ისტორიულს ჭეშმარიტებას, რაც მოწმობს იმ გარემოებას, რომ ქართული წყაროები სრული ნდობის ღირსნი არიან. ყიფჩაღები, (პოლოვცები ანუ კუმანები) თიურქთა ჩამომავლობის ერია. მოვიდნენ შუაგულ აზიიდამ მე-XI საუკ. პირველ ნახევარში და დასახლენ სამხრეთ რუსეთის მინდვრებზე... აქედან მათ განდევნეს წინანდელი მკვიდრნი პეჩენეგები. ყიფჩაღები ხშირად ეომებოდნენ რუსებს. აღნიშნულია 46 თავდასხმა მათი რუსეთზე. მწერალი ნიკიტა აკომინატი უწოდებს ყიფჩაღებს ფრთოსანთა გროვას, რომელნიც თავს ეხმიან დედამიწას და აღაოხრებენ კალიაზე უმეტესად. ევსტატე სოლუნელი, მეთვრმეტეე XII საუკ. ყიფჩაღთა სიმამაცის შესახებ შემდეგს ამბობს: „ერთ წუთში ყიფჩაღი ახლოსაა, მაგრამ—დახეთ—ის აღარ სჩანს. თავს დაესხა და თავ-აღებით, ორივ ხელით იტაცებს სადავეს, ცხენს ჰკრავს ფეხებს და ვით მათრახი და ქარიშხალი მიჰქრის შორს, თითქოს სურს წინ გაუსწროს ჩქარა მფრინავს ფრთოსანს... ძლივს მოასწარი თვილი მას, და ის კი უეცრად გაჰქრა. ასე ახასიათებს „ქართლის ცხოვრებაც“ ყიფჩაღებს. მინდვრებზე მოხეტიალე ხალხთაგან—ყიფჩაღები ყველაზე ნიჭიერი იყო: მათ ჰქონდათ ნიჭი კულტურის და ყოფა-ცხოვრების საუკეთესო წეს-ჩვეულებათა შეთვისებისა. 1904 წლიდამ ისინი გახდნენ მდიდარ ცენტრების მებატონეებად: ტმუტარაკანისა და სუდაკისა და მოკლებულნი არ იყვნენ სავაჭრო და სამრეწველო ინტერესებს. აზოვის მიდამოებში, სადაც სცხოვრობდნენ ყიფჩაღები, ბინადრობდნენ ქრისტიანებიც, რომელნიც კულტურულად მათზე მაღლა იდგნენ... მათ ყიფჩაღებზე ჰქონდათ კულტურული ზედგავლენა მე XI საუკუნეში ყიფჩაღთა შორის დაიწყო ქრისტიანობის ქადაგება... რუსთა დიდი მთავრები უკავშირდებოდნენ ქორწინებრივი ნათესაობით ყიფჩაღთა მეფეებს. ამ გარემოებასაც დიდი გავლენა ჰქონდა მათს გაქრისტიანებაზე. ყიფჩაღები განიყოფებოდნენ რამდენიმე თემად. თითოეულს თემს თავისი მეფე ჰყავდა. ერთი მათგანი იყო ათრაგი, ძე შარაგანისა. სწორედ ამისი ასული შეიქმნა დავითის მეუღლედ და სრულიად საქართველოს დედოფლად. ეს შარაგანი ის მეფეა, რომელიც, რუსთა მატიანეთა სიტყვით, შეაიწროეს რუსების დიდმა მთავრებმა ოლეგორისლავიჩმა და ვლადიმერ მონომახმა. „ქართლის ცხოვრების“ ათრაგი ის „ოტროკია“, რომელიც, იპატიევის რუსულ მატიანეს სიტყვით, ვლადიმერ მონომახმა შეაიწროვა და იძულებულ ჰყო „ობეზებში“ ანუ აფხაზეთში გადასახლებულიყო 1118 წლის დახლოებით.

სწორედ ამ ხანებში დავით აღმაშენებელი ოსეთში მოგზაურობდა და ოსთა შორის თვის ბატონობასთან ერთად ქრისტიანობის და კულტურას განამტკიცებდა. ყიფჩაღებს დარჩათ სიმღერა ოტროკის და სირჩანის შესახებ. ეს სიმღერა მოწმობს, რომ ოტროკი (ქართული ათრაგი) უცხო მხარეში სცხოვრობდა, ხოლო სირჩანი თვის სამშობლოში, დონის შესართავთან, ოტროკის განდევნის მიზეზი იყო ვლად მერი. ოტროკი აბაზეთში (აფხაზეთში) სცხოვრობს. სირჩანი მომღერლის ორღვის პირით უთვლის ოტროკს: „დაბრუნდი, ძმაო, მოდი შენს ქვეყანაში: მოკვდა ვლადიმერი“.

ყიფჩაღები, საქართველოში გადასახლებულნი, იღებდნენ ქრისტიანობას და ხდებოდნენ ივერიის ეკლესიის ძეებად. ზოგნი დაბრუნდებოდნენ ძველს სამშობლოში და იქ საქართველოდამ მიიტანდნენ ახალს ცნებებს, ახალს სოფლმხედველობას. რომ ზოგიერთი ყიფჩაღები ბრუნდებოდნენ ყიფჩაღეთში საქართველოდამ, ეს სჩანს იმავე ყიფჩაღურ სიმღერიდამ. ოტროკი ამბობს: „უმჯობესია შენი ძვლები ჩაჰყარო შენსვე მიწაში, ვინემ უცხოეთში იყო მორჭმული. და დაბრუნდა თვისს მიწა-წყალზე და მისგან იშვა კონჩაქი, მეფე ყიფჩაღთა“... მაგრამ საქართველოში სამუდამოდ დარჩა გადმოსახლებულ ყიფჩაღთა უმრავლესობა, განათლებული სახარების სწავლით, ქართველებთან შესისხლოცებული... ამ სახით ყიფჩაკთა ბედის გამოჭედაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართულ ზეგავლენას. ჩრდილოეთის მხრით მათზე მოქმედობდა რუსთა ეკლესია, ხოლო სამხრეთით ეკლესია ივერიისა, რომლის გავლენა ვრცელდებოდა კავკასიონის მთების იქითაც, ჩრდილოეთ კავკასიაში და სამხრეთ რუსეთშიაც. საქართველოში დარჩენილი ყიფჩაღები სულით და გულით გაქართველდნენ არა ძალდატანებით, არამედ თავის ნებით, ძლიერ ქართულ კულტურის ზედგავლენით... თვისი სახელი „ყიფჩაღი“ შერჩა დავითის შემდეგ ერთს რაზმს ჯარისას, ამ რაზმის უფროსი ყუბასარი შვილის გიორგი მესამეს (1154—1184), თამარ მეფის მამას, ომებში. რუსეთში დარჩენილი ყიფჩაღები გარუსდნენ. მრავალი ყიფჩაღი მონგოლთა შემოსევის შემდეგ (მე-13 საუკ.) გადასახლდა უნგრეთში და იქ გამადიარდა. ამ ნაირად აღიგავა პირისაგან ქვეყნისა ნიჭიერი და ფიზიკურად ძლიერი ერი ყიფჩაღებისა, რადგან არ გააჩნდა საკუთარი ანბანი, საკუთარი კულტურა, ვერ შეინარჩუნა საკუთარი ადგილ-სამყოფელი... არც ადგილმდებარეობა უწყობდა ხელს. ამისთანა ერს რუსთაველი ეძახის „უცებ“ (უვიც) ერს, როდესაც ამბობს:

უცებნი მოსრნის მცოდნეთა
ცოდნამან, ხელოვნებამან.

და ქართველი ერი X—XIII საუკ. ცოდნის და ხელოვნების მხრით დიახ შესანიშნავი იყო... მისი გავლენა კავკასიის ერებზე ჯერ ნაკლებ გამორკვეულია... ეს საკითხი ელის თავის მეისტორიეს მყობადში მაინც. ამ საკითხის შესახებ ცნობები გაბნეულია საისტორიო ნაწერებში რუსულ, ქართულ და სხვა ენებზე... ქართველ მისიონერთა მოღვაწეობის საკითხი კარგათ აქვს გამოკვლეული ეპისკოპოზს კირიონს.

წყაროები: „ქართლის ცხოვრება“ ფრანგ. ენაზე და ბროსსეს “Addition“. Голубовскій გვ. 69 და 79, 83, 224, 228, 101. 221, 226, 228; Успенскій. Образ. 2-го Болг. царства; საქართველოს სამოთხე მ. საბინინისა; Знаменскій. Руковод. къ рус. ц. ист.; Ипатьевская Лѣтопись; S. Martin, T. П, стр. 48.

ილ. ფერაძე.

## პატარა ფელეტონი

### ორს

... გცივა, კანკალებ... მიწაზედ გდიხარ!..

მსურს გაგიშალო ლეიბად გული და სული ჩემი საბნად დაგხურო...

მაგრამ...

გული ჩემი სვავთა და ყორანთ მივუშვირე, როს ისინი ჩემს ტყვე-ქმნილ სატრფოს შემოესივნენ დასაკორტნად...

დაფლითეს...

სული ჩემი გარს შემოვარტყი, რომ უჩინარ მეყო იგი სისხლის მსმელთათვის...

გრძნობით გაგათბობ, სასურველო!..

გრძნობას დაგიგებ და გრძნობასვე საბნად დაგხურავ!-. ცალის თვალით შენ გიცქერი, ცალით-კი მტერსა ვზვერავ, ვდარაჯობ...

არ გყოფნის განა ცალის თვალის სხივი?!

რა ვქნა! ორთავ თვალის სხივს ვერ გაკუთვნებ!..

მასაც სჭირია!..

გრძნობით გიცქერი, საყვარელო!.. გრძნობით შეგხედავ!.. ცალი ყურით შენს კვნესას ვისმენ, ცალი-კი ტყვესატრფოსკენ მაქვს. მიპყრობილი,— მიხმოს—მზად ვიყო!..

გრძნობით მოგისმენ სანატრელო!.. გრძნობა გრძნობს კვნესას...

შენ ხომ გონება არ გჭირდება მშრალი და დინჯი... ჩემი გონებაც ტყვემ დამიტყვევა... ის მაზედ ფიქრობს, სულ ის ახსოვს...

შენა?!

გრძნობით მახსოვხარ, სატრფიალოვ! გრძნობა გიგონებს! ლეში-ღა დავრჩი ნაცემ-ნაგვემი... რაღად გინდივარ?! დაი, ისიც ჰქონდესთ სვავთა და ყორანთ!..

როცა მშიერნი ჩემს ტყვე-სატრფოს მოესევიან, მე მკერდს მივუშვერ,— დეე, დაფლითონ, ოღონდ გაძღნენ და ჩამოშორდნენ დროებით მაინც!..

შენ-კი?

გრძნობა!.. მხოლოდ გრძნობა!..

სხვა აღარ დამრჩა აღარაფერი!..

ვალ. შალიკაშვილი.

## მიეშველნეთ ლაზებს!

(წერილი სოხუმიდან).

ადგილობრივი ადმინისტრაცია დიდს უსამართლობას უშვრება სოხუმის ოლქში თუთუნის დასამუშავებლად მოსულ ლაზებს, დაავიწყდათ, რომ ლაზები მკვიდრნი არიან იმ ადგილებისა, რომლებიც უკვე კარგა ხანია დაიპყრო რუსის ჯარმა; იმ ადგილებისა, სადაც უკვე რუსული კანონი მოქმედობს; იმ ადგილებისა, რომელთა მკვიდრნი რუსეთის ქვეშევრდომებად ითვლებიან. ლაზებს, მაშასადამე, სრული უფლება ჰქონდათ დარჩენილიყვნენ იქ, საცა მოუსწრო ომმა და საცა თავისის ოფლით პატიოსნად თავს ირჩენდნენ. უკიდურეს შემთხვევაში, ადმინისტრაციას შეეძლო ისევ ლაზისტანში დაებრუნებინა სოხუმის ოლქში დროებით მცხოვრები ლაზები. ამის მაგიერ, ბრძანებაა, აქ მყოფი ლაზები ყველანი რუსეთში გადაასახლონ ამ ზამთარში. გადასასახლებელთა რიცხვი 10,000 სულს აღემატება. საცოდავნი იძულებულნი იყვნენ ჩალის ფასად მიეყიდ-მოეყიდნათ თავიანთი სარჩოსაბადებელი, უმეტესობამ გაყიდვაც-კი ვერ მოასწრო რისამე, რადგან აჩქარებდნენ. მოხუცი ქალი, და კაცი, ორსული დედაკაცები და ძუძუთა ბავშვები, შიშველ-ტიტველნი სოხუმში **ჩამორეკეს** ამ სიცივეში. მათის საცოდაობით ქვანიც კი ატირდებოდნენ. აქედან რუსეთისაკენ უნდა გაისტუმრონ: ერთი გემი უკვე **დატვირთეს** ამ ცოცხალ საქონლით. დანარჩენებიც რიგს ელიან. მათში დიდძალი დაიხოცა, იხოცება და მოსალონელია ძალიან ცოტამ ჩააღწიოს დანიშნულ ადგილამდე.

ამ საცოდავების გამკითხავი არავინ აღმოჩნდა. თუ სადმე სამართალია ადგილობრივს განყოფილებას ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებისას უნდა ედო თავს მათი პატრონობა, ამას უნდა ეზრუნა დროით და შეეტყობინებინა კავკასიის უმაღლეს მთავრობისათვის, რომ ლაზები რუსის ქვეშევრდომები არიან და, მაშასადამე, იმათაც სამართლიანად უნდა მოპყრობოდნენ და სამშობლოში მაინც გაესტუმრებინათ, თუ სოხუმის ოლქში ცხოვრების ნებას არ მისცემდნენ. მაგრამ მაგარი ის გახლავთ, რომ განყოფილებამ სათანადო ფეხი ვერ გამოიჩინა თავის დროზე და ამ დაუდევრობისა და უზრუნველობის მწარე და სატირალი შედეგიც სწვნიეს საცოდავმა ლაზებმა.

საჭიროა ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ **დაუყონებლივ** აღძრას შუამდგომლობა ვისთანაც ჯერარს და სთხოვოს სამშობლოში დააბრუნონ საცოდავი ლაზები. თუ ეს ვერ მოახერხა ქართველმა საზოგადოებამ, ტყუილად ნუ ვიტყვით, ლაზები ჩვენი ძმებია და მათთვის ვზრუნავთო. ლაზებს კიდევ დარჩენიათ იმედის ნატამალი, კიდევ ჰგონიათ, რომ მათი უფროსი ძმები უპატრონოდ არ დავაგდებთ, რომ შეგვიძლია ძმობა გავუწიოთ ჭირში მყოფთ და მტრისაგან დევნილთ.

მაშ, დროზე მიეშველნეთ და ნუ დავღუპავთ ათი ათას სულს, დროზე ვიხსნათ. ვიმოქმედოთ მხნედ და სწრაფად. თუ ვიხსენით ახლა, მათს გულს საუკუნოთ მოვიგებთ და შეგვეძლება ვსთქვათ: ლაზები ჩვენთან იქნებიან განუყრელადო.

**რაჟდენ ჩხარტიშვილი, მ. გეგეჭკორი, უშანგი პატარაია.**

## ეროვნული წირვა-ლოცვა უცხოეთში

(წერილი პეტროგრადიდან)

უცხოეთში, ქართველი საზოგადოება, ქართული ეკლესია და ყოველივე ისეთი დაწესებულება, რაც დროებით მაინც ერთად მოუყრის თავს სამშობლო კერას მოწყვეტილ ქართველობას, ის ადგილებია, სადაც ერთი-ორი საათი მაინც შეგიძლია თანამოძმეს შენი ჭირ-ვარამი გაუზიარო; თავი ეულათ არ იგრძნო უცხოთა შორის.

მით უმეტეს, რომ დღეს პეტროგრადს ეტანება და ეძიებს უმაღლეს სწავლას უმეტესი ნაწილი ქართველ ახალგაზდობისა, რომელმაც უნდა შექმნას მთლიანი სახე დღეს გადაგვარების გზაზე მდგომ საქართველოსი.

პეტროგრადის ქართული საქველმოქმედო საზოგადოება დიდი ხანია ცდილობდა ამ აზრით დაეარსებია ქართული ეკლესია, რომელიც იქნებოდა ერთგვარი პლატფორმა უცხოეთში გაბნეულ ქართველობის თავმოსაყრელად. ამ საზოგადოებას, რომელსაც, სხვათაშორის, სათავეში უდგას ალ. ქორჩია, ბევრი დაბრკოლების გადალახვა დასჭირდა და მოუთმენლად მოელოდა იმ დღეს, როცა ერთად შეკრებილი ქართველობა შეიძლებდა აღევლინა ზეცად სამშობლო ენაზე წმიდა ლოცვა. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ეკლესია დიდ წამებას და დევნას განიცდის და ბევრგან საქართველოში (მაგ. სოხუმის ოლქში) ქართული წირვა-ლოცვა ეკლესიიდან განდევნილია, ქართველს უთავის-ეკლესიოთ ყოფნა მაინც შეუძლებლად მიაჩნია; ყოველსავე ღონეს ღონობს იგი ეკლესია ასე თუ ისე აცოცხლოს. ასეთმა ეროვნულ ღვთისმსახურებისადმი სიყვარულმა იგი ღვთისმსახურება სამშობლო ენაზე პეტრეს ქალაქშიც-კი მოასმენინა. ძნელია ბარბაროსულის ძალით განადგურება ძვირფასი ფრესკის, რომელიც ქართლოსიანთა სისხლით ნაწერ ისტორიის ფრონტონზე მოხატულა.

კარგა ხნის ლოდინის შემდეგ ყოვლად უსამღვდელოესმა პიტირიმმა პეტროგრადში ქართულ ეკლესიის დაარსების ნება დართო. სამშობლოდან ქართველმა საზოგადოებამ მოიწვია მამა ი. ჩიჯავაძე. იშოვა ეკლესია და ნინოობას მთელი ქართველობა კოპწიათ მორთულ ტაძარში შეიკრიბა.

ყველა იქ მყოფ ქართველს სახეზე სადღესასწაულო მხიარულება აღბეჭდოდა. მით უმეტეს, რომ საერთო ლოცვაში მათ გვერდს უმშვენებენ წამებულნი ივერიის ეკლესიისანი, ეპისკოპოსი კირიონი და არქიმანდრიტი ამბროსი და აგრეთვე ეპისკოპოსი ანტონი.

მწირველი იყო მამა ი. ჩიჯავაძე. წირვაზე გალობდა ქართული ხორო, სამედიცინო აკადემიის მსმენელთაგან შემდგარი. საზოგადოება, (უმეტესად ქართველობა) ნასიამოვნები დიშალა და გულწრფელს მადლობას უთვლიდა ამ საქმის მეთაურთ.

Lado.

## დაბა-სოფლები

**სოფ. მეჯვრისხევი.** ჩვენშიც დიდი სიძვირე ჩამოვარდა. ხალხი საგონებელს მიეცა. თუმცა ყოველ ღონესა ღონობს, მაგრამ არ იცის როგორ უშველოს საქმეს. თუ აქნობამდინ კოდ პურში 10—12 მანეთს აძლევდა, ეხლა 20—25 მანეთის მიცემა უხდება. იმასაც ვერც კი შოულობს. ხალხი მეტად შეშინებულია—ვაი თუ მოსავალი წელს მოსცდეს და სულ უპუროთ დავრჩეთო. ამისათვის ვისაც კი მეტი პური ჰქონდა, გადამალა და წვრილ-წვრილად იკვებავს თავის თავს.

— ერთი ხელობა ლურჯ ბილეთებიანი ომში წაასხეს. ეხლა კი თეთრბილეთებიანი მიჰყავთ. ერთი ხელობა ლურჯიანებიც რომ წაასხან, მაშინ დავიღუპებით. მთელი სოფელი გალაგდა. ვისაც ან ძმა, ან შვილი, ან ქმარი ჰყავდა, სუყველა ომში წაიყვანეს და დარჩა სოფელი ცარიელი. სად ნახავთ ახოვან ვაჟკაცს? ისე გაივლით სოფელში, რომ რვა-ათის წლის ყმაწვილი ბიჭი, ან სამოც-ოთხმოც წლიანი მოხუცი არ დაინახოთ.

ოღონდაც რომ გულშემზარავი სურათია. ჩვენს გლეხს ოდესღაც მხიარულს, დროს გამტარებელს, ჭირსა და ლხინში ერთსულოვანს, თავპირი ჩამოსტირის.

— საშინლათ გავრცელდა ავაზაკობაც. დღე ისე არ გაივლის, რომ ვისმეს შინაური საქონელი არ მოპარონ. სოფელს შველა სჭირია!

დავ. გამრეკელი.

## თეატრი და ხელოვნება

**იგორ სევერიანინის საღამო**

დღეს, 26 იანვარს, საიმპერატორო სამუსიკო სასწავლებლის დარბაზში ცნობილი რუსი მგოსანი იგორ სევერიანინი თავის პოეზების პირველ საღამოს მართავს. პოეტი **გიორგი შენგელი** ლექციას წაიკითხავს იგორ სევერიანინის შემოქმედების შესახებ, და თავის ლექსებს წარმოსთქვამს. ქ-ნი ბალკის-სავსკაია სევერიანინის პოეზებს შეასრულებს, ხოლო თვით პოეტი სევერიანინი წარმოსთქვამს ლექსებს თავის შემდეგ წიგნებიდან: „აღქაფებული თასი“, „ოქრო-ლირა“, „პოეზო—ანტრაქტი“, „Yictoria Begia“ და „უპასუხო სადღეგრძელოდან“.

ამ საღამოზედ ბილეთები წინასწარ არის გაყიდული. გამოცხადებულია აგრეთვე სევერიანინის საღამოები 29 და 30 იანვრისათვის, რომლებზედაც პოეტი შენგელი ლექციას წაიკითხავს „ემილ ვერჰარნზედ“. დასაწყისი 8 ნახევარ საათზედ.

## წერილი რედ. მიმართ

თქვენი გაზეთის ამ წლის მეხუთე ნომერში მოთავსებულია ცნობა ბაქოდან: „ცნობილმა ქველმოქმედმა აკაკი ხოშტარიამ 12 ათასი მანეთი შესწირა ადგილობრივს ქართულ დრამატიულ საზოგადოების სათეატრო გარდერობისა და ბიბლიოთეკისათვის“. ეს ცნობა სწორი არ გახლავსთ. სწორი კი ასეთი გახლავსთ: ბ-ნი ა. ხოშტარია **შეჰპირდა ფულის შეგროვებას შეძლებულ ბაქოელ ქართველთა შორის**, მხოლოთ.

გ. ჯავახი.

P. S. ვთხოვ რედაქციას, დამიმოწმოს, რომ ზემომოყვანილი ცნობის ავტორი მე არა ვარ.*)

გ. ჯ.

## შემოწირულებანი

რედაქციამ მიიღო ბ-ნ გ. ჟორდანიასაგან 152 მანეთი, შეგროვილი თბილისის ვექილთა შორის განსვენებულის **ნიკ. ალ. ტარხნიშვილის** კუბოს შესამკობ გვირგვინის ნაცვლად, დაუძლურებულ ქართველ მსახიობთა საპენსიო ფონდის გასაძლიერებლად.

—

ქ. ტრაპიზონში ძმათა ნიკანორ და ილიკო მასხარაშვილებს ავადმყოფ მსახიობ ვალ. შალიკაშვილის სასარგებლოთ შეუგროვებიათ და დანიშნულებისამებრ გადაუციათ 251 მანეთი.

შემომწირველთა სია: 150 მანეთი— ძმათა მასხარაშვილებმა; თითო თუმანი—ბიკ. ჭედიამ, გ. ჯაბაშვილმა და ექიმმა იაშვილმა; სამ-სამი მან.—მელ. იოსელიანმა, ნიკ. დავითაშვილმა, ალ. იაშვილმა, სამს. მდინარაძემ, ერმ. სიმონიშვილმა, რაჟ. ქაჯაიამ, კოლ. მასხარაშვილმა, №№, ნინო წულუკიძისამ, შალვა ჩოჩიამ; ორ-ორი მან.—გრიგ. რადრაძემ, ათანას. სახტაროპულომ, ალ. გვათუამ, ვას. რონინაშვილმა, არტ. გეგენავამ, დათა კანდელაკმა, ვლ. ცაგურიამ, ვ. მეგინეიშვილმა, ნესტ. ქიქოძემ; თითო მან.—ვლ. ცხადაძემ, მ. ქადიეშვილმა, მელიტ. კიკნაძემ, აიდ. კონცლიძემ, უსუფ გალიყოღლიმ, შ. ლეჟავამ, ხასან იბრაგიმმა, ალ. იაშვილმა, ისაკ ფანცულაიამ, ვლ. პაჭკორიამ, ვლ. მასხარაშვილმა, ონ. ესაკიამ, ერ. ჯოჯუამ, სამს. კაჭარავამ, იულ. დანელიამ, პ. ზოდელავამ, ბაგრ. გაბუნიამ, მ. ქომურჯიშვილმა, კოწია გოგიავამ, ბაგრ. გაბუნიამ, მ. ქომურჯიშვილმა, კოწია გოგიავამ, ელ. რატიანმა, თ. კეკელიძემ და ი. თევზაძემ.

---

*) რედაქცია ამოწმებს, რომ ხსენებული ცნობა ბ-ნს გ. ჯავახს არ მოუწოდებია.

რედაქტორ-გამომცემელი **ხანდრო ჭანჭიაშვილი**


## ამიერ-კავკასიის რკ. გზის
**მატარებლების მიმოსვლა**

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 3.20 | დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | | № 4, | 8 „ 53 „ | დილ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.48 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | | № 3, | 6 24 | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 8.10 | დილ. |

## 1917 წ. მიიღებ ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
## „ნაკადულ“-ზე
წელიწადი მეთორმეტე

ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

**ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ**

24 წიგნი „ნაკადული“-სა მცირე წლოვანთათვის. 12 წიგნი „ნაკადული“-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი 3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

**ფოსტისთვის:** Тифлисъ Головинскій пр., 8. შემოსასვლელი დავითის ქ. № 2.

დაწვრილებით ჟურნალში. რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.

(291—12)

## მიიღება ხელის მოწერა 1917 წ.
## საყმაწვილო ნახატებიან ჟურნალზე
ოცდა-მერვე წელიწადი **„ჯეჯილი“** ოცდა-მერვე წელიწადი

**ჯეჯილი დაარსებულია 1890 წ.**

გამოვა 1917 წ. თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილებაა: **პატარებისათვის და მოზრდილთათვის.** ჟურნალი **„ჯეჯილი“** თბილისში ღირს 4 მ., ქალაქ გარედ (გაგზავნით) 5 მ., ნახევარი წ. 3 მან., ცალკე ნომერი 40 კაპ. რედაქციაში **იყიდება ყველა 27 წლის ნომრები და რედაქციის გამოცემული საყმაწვილო წიგნები. ფასი რედაქციას არ მოუმატებია.** ხელის მოწერა მიიღება **თბილისში**—„რედაქციაში (არტილერიის ქ. № 5).

**ფოსტის ადრესი:** Въ Тифлисъ, въ Ред. Груз. дѣтскаго журнала „Джеджили“

რედაქტორ-გამომცემელი ანასტ. თუმანიშვილი-წერეთლისა.

## მიიღება ხელის მოწერა 1917 წლის
სალიტერატურო, საპოლიტიკო და სამეცნიერო ჟურნალი
## „ცხოვრება“-ზე
წელიწადი მესამე

რომელიც გამოვა ორ კვირაში ერთხელ, რომანოზ ქ. ფანცხავას რედაქტორობით. ჟურნალში თანამშრომლობენ საუკეთესო სალიტერატურო ძალები. წლიურად ჟურნალი ღირს 6 მ., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ., სამი თვით 1 მ. 75 კ. წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეუძლიათ ხელის მოწერის დროს 3 მ., პირველ აპრილს 2 მ. და პირველ ივნისს 1 მ. ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Кутаисъ Роману Спиридоновичу Панцхава.

**სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი**
## განათლება
(წელიწადი მეათე)

ჟურნალის მიზანია ხელი შეუწყოს ქართულს ოჯახებსა და სკოლებში წესიერად სწავლა-აღზრდის საქმეს ეროვნულ ნიადაგზე. „განათლება“ აწვდის მკითხველებს წერილებს, როგორც სწავლა-აღზრდის შესახებ, აგრეთვე მეცნიერების ყოველგვარ დარგიდან და სიტყვა-კაზმულ მწერლობიდან. ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივად ყოველ თვე გარდა ზაფხულის ორის თვისა (ივლისი და აგვისტო).

ჟურნალში ჩვეულებრივად იქნება ცალკე განყოფილება, სადაც დაიბეჭდება ყოველგვარი ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა და მისი განყოფილებათა მოქმედების შესახებ.

ხელის მოწერა მიიღება **თბილისში** ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის“ რედაქციაში, წერა-კითხვის საზოგად. წიგნის მაღაზიაში ვ. ავალიშვილთან, „Новая рѣчь“-ის წიგნის მაღაზიაში კიკნაძესთან და „განათლების“ კანტორაში, ოლღას ქ. № 6. წლიურად ჟურნალი გაგზავნით ღირს 5 მან., თბილისში ხელისმომწერთათვის 4 მან., სოფლის სკოლის მასწავლებლებს, სახალხო სამკითხველოებს, საშუალო სკოლის მოწაფეებს, სტუდენტებს, მუშებს ჟურნალი დაეთმობათ 3 მან. 50 კაპ. ცალკე ნომერი ჟურნალისა ღირება 50 კაპ.

**მისამართი:** Тифлисъ, Дворянская Грузинская Гимназія Л. Г. Боцвадзе.

რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: **მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლაღიძის** და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის **ნამდვილი სამკურნალო** წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეჰყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების **ყალბი** ეტიკეტების მიმსგავსებით **ნამდვილი ლაღიძის** წყლის ეტიკეტის ნიშანი შემდეგია




ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო სამრეწველო მინისტრის მიერ პეტროგრადში და თვით პრობკებსაც აწერია

„ლაღიძის წყალი“

**მხოლოდ და მარტო ლაღიძის** წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე

## სუნი და გემოც საამური აქვს

## თევზის მრეწველნი
## ძმ. ძიძიგურები
**პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-ზვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „მეშოხნი“ ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის **შამაიები** მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.




სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4